სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 9 ოქტომბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] ხით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эрт[illegible]“ [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 216 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 216

ს.-დ. მ. პ. საოლქო კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს ძვირფასი ამხანაგის და საოლქო კომიტეტის ხაზინადარის

აკაკი სოლომონის ძე გაბრიჩიძის
(კლდეიშვილი)

ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას.

გაზ. „ერთობის“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს თავის თანამშრომლის

აკაკი სოლომონის ძე გაბრიჩიძის
(კლდეიშვილი)

ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას.

თფ. ამხანაგები ღრმა მწუხარებით აუწყებენ თავის ამხანაგ მეგობრებს ძვირფასი ამხანაგის

აკაკი სოლომონის ძე გაბრიჩიძის

უდროოთ გარდაცვალებას.

ხუთშაბათს, 10 ოქტომბერს წმინდა ნინოს სასაფლაოზე გარდახდილ იქნება პანაშვიდი ძვირფას

ლუკა გრიგოლის ძე ნათაძის

მეორმოცე დღის თავზე, რასაც აუწყებენ მის ნაცნობთ და მეგობართ განსვენებულის ნათესავები.

უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდნილი შვილები აბესალომ და ვოლინკა, ცრემლებ შეუშრობელი რძალი ნ. ყენიას ასული ქლენტისა, შვილი-შვილები: ვანიჩკა, ილუშა, ტარიელი, იესე, ქსენია, თამარა, აგრაფინა და მარგალიტა, სიძეები: ბიკენტი, ბიქტორი, გიორგი და პლატონ ჩხიკვიშვილი პირველნის და მეორენის—დაუვიწყ რი დედის, მესამენის უძვირფასესი დედამთილის, მეოთხენის და მეხუთენის უსაყვარლესი ბებიის, მეექვსენის კი საყვარელი სიდედრის ვაუწყებთ ყველა ნათესავ მეგობრებს და ნაცნობებს

ფედოსი მესხის ასულის ქლენტის

უდროოთ წუთისოფლის გამოსალმებას, რომელიც მოხდა 7 ოქტომბერს. დასაფლავება მოხდა 8 ოქტომბერს სოფ. გურჯაანის სასაფლაოზე დღის 3 საათზე (ახალი დროთი). პანაშვიდი ყოველ დილა საღამოს. წერილები არავის გაეგზავნება.

ქვრივი ნინო ექვთიმეს ასული და თამარა მამულაიშვილები ღრმეს მადლობას სწირავენ: ეროვნული საბჭოს სოც.-დემ. ფრაქციას, რომელმაც იკისრა უდროოდ გარდაცვალებულის პირველის ძვირფასი ქმრის, ხოლო მეორესი—დაუვიწყარი მამის **არსენ მამულაიშვილის** (ლალიონის) თავის ხარჯით დასაფლავება, აგრეთვე მადლობას უძღვნით საოლქო კომიტეტს და გურიის დამხმარე კომიტეტს დახმარებისთვის, ყველა ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობართ, რომელთაც პატივი გვცეს დასაფლავებაზე დასწრობით და წერილობითი სამძიმრის გამოცხადებით.

## პოლიტიკური ცვლილება გერმანიაში

გერმანიის პოლიტიკურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოხდა. ახალი სამინისტრო პარლამენტის უმრავლესობის პარტიებისაგან უნდა შესდგეს. ეს სამინისტრო, როგორც იგივე გერმანიის პრესა იტყობინება—დასახელებულ პარტიათა მინიმუმ პროგრამის მოთხოვნილებებს განახორციელებს და ხელმეტ ცვლილებასაც შეიტანს.

აქ საპატიო ადგილი ეკავებათ გერმანიის დემოკრატიას და მის წარმომადგენელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრებს. პარლამენტში ამ ჟამათ სოციალ დემოკრატებს ას ცამეტი დეპუტატი ჰყავთ და ისინი რეიხსტაგის უდიდეს პარტიათ ითვლებიან. ექვს გარეშეა ამათ რამდენიმე მინისტრის პორტფელი შეხვდებათ და კანდიდატებიც უკვე დაუსახელებიათ.

ხაზ გასმით ვიმეორებთ, რომ გერმანიაში უდიდესი პოლიტიკური გადატრიალება მოხდა და ეს ცვლილება შინაურ და საგარეო პოლიტიკაში ღირს შესანიშნავ ნაყოფს გამოიღებს.

პოლიტიკური ცვლილება, თუ რევოლიუციის მოხდენა მუდამ და ყოველთვის ქუჩებზე სისხლის ღვრის შედეგი არ არის. იგი საერთო ძალთა განწყობილების ნაყოფია და პოლიტიკურ გადატრიალებას, თუ რევოლიუციას უმთავრესათ ის ახასიათებს, რომ უფლება მოკლებული ხალხის უმრავლესობა პოლიტიკურ უფლებას იპოვებს და იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ბატონ პატრონი ხდება.

მიუხედავათ იმისა, რომ გერმანიის დემოკრატია და მისი ხემძღვანელი სოციალ დემოკრატიული პარტია თავისი რაოდენობით და შეგნებით უძლიერეს მასას წარმოადგენდა,—მისი გავლენა პარლამენტში ისე ძლიერი არ ყოფილა, როგორც ამას საერთო ძალთა განწყობილება მოითხოვდა.

გერმანიის პარლამენტი და ხალხის წარმომადგენლები სრული უფლებით არ ყოფილან აღჭურვილნი. მონარქიზმი იქ ფრთა გაშლილი იყო და შინაურ და გარეშე პოლიტიკაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა. მართალია სოციალ-დემოკრატიულ პარტიას პარლამენტის მეოხებით მრავალი ღირს შესანიშნავი რეფორმები გაუტარებია ცხოვრებაში, მაგრამ იგი საერთო სულისკვეთებისა და კლასობრივი ძალთა განწყობილების სწორი გამომხატველი არ ყოფილა. გერმანიის ხალხის სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა დიდი ხანია სახელმწიფოს წყობილების განახლებას მოითხოვდა. მაგრამ გერმანიის გაბატონებული კლასები ახერხებდენ ჟამ მოჭმულ ურთიერთობის ხანგრძლივათ გამაგრებას.

მხოლოდ მსოფლიო ომმა, იმპერიალისტების დამღუპველ პოლიტიკამ, გერმანიის შინაურ და გარეშე ცხოვრებაში ესოდენი დიდი ცვლილება მოახდინა. დემოკრატიის რაზმი წარმოუდგენლათ გაიზარდა; მათ ახლა აშკარათ დაინახეს გაბატონებული კლასების ეკონომიური და კულტურული ცხოვრების განმანადგურებელი პოლიტიკა და მათ მთავრობას ზურგი შეაქციეს. გერმანიის რეიხსტაგი თავისი უმრავლესობით მთავრობის ოპოზიციის ორგანოთ გადაიქცა და იგი დემოკრატიული წყობილების დამყარებას მოითხოვდა.

მართალია ზოგიერთა ცრუ სოციალისტების შეხედულებით გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტია თავისი უმრავლესობით არა მარქსისტულ პოლიტიკას აწარმოებდა და ისინი ინტერნაციონალურ პოლიტიკას ასცდენო. აქ ჩვენ არ შეუდგებით ამ კითხვის დაწვრილებით განხილვას, მხოლოდ ვიტყვით, რომ გერმანიის სოციალდემოკრატების უმრავლესობა თავის პოლიტიკას და ბიუჯეტის მხარის დაჭერას თავდაცვის პოლიტიკით ხსნიდა და ამ ნიადაგზე იყო აშენებული მთელი მათი საგარეო პოლიტიკა. შეიდემანი უკანასკნელ წუთებამდის გაიძახოდა: მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ სხვის ტერიტორიაზე ვიბრძვით მაინც მტრის შემოსევის საფრთხე თავიდან არ აგვიშორებია და ჩვენ იარაღით ხელში უნდა ვაწარმოვოთ ასეთი თავდაცვაო.

დღეს შეიდემანის შეხედულება გამართლდა. შეთანხმების სახელმწიფოებმა ოთხი წლის მსოფლიო ომის შემდეგ ისე მედგრათ შემოუტიეს, რომ მათ გერმანიას დაღუპვის საფრთხე კვლავ წინ წამოუყენეს და უკანასკნელს სახელმწიფოს ტერიტორიაზე შემოჭრით ემუქრებიან.

ასეთ ურთიერთობამ გერმანიის მთავრობა საგონებელში ჩააგდო. მან კარგათ გაიგო, რომ დღეს ომი ხალხმა უნ და აწარმოვოს და მისი წარმომადგენლები და პარლამენტში შინაურ და გარეშე პოლიტიკაში სრული უფლებით აღიჭურვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შესძლებს თავდაცვ ს საქმის წარმოებას და მას შინ და გარეთ უდიდესი დამარცხება მოელის, მით უმეტეს, რომ გერმანიის დემოკრატია მთავრობის საგარეო პოლიტიკას არ ენდობოდა და იგი საერთო დემოკრატიული ზავის ჩამოგდების მაგიერ იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებდა. ლედებურმა რეიხსტაგის უკანასკნელ სხდომაზე განაცხადა: გერმანიის ხალხს უნდა მიეცეს უფლება, რომ მან აწარმოვოს საგარეო პოლიტიკა, თორემ აქ ისეთივე კატასტროფა მოხდება, როგორიც რუსეთში დატრიალდაო. ერთი სიტყვით გერმანიის დემოკრატია პარლამენტის სრულ უფლებიანობას მოითხოვდა, რომ ხალხის არჩეულებს უფლება მისცემოდა აქტიურათ ჩარეულიყო საგარეო პოლიტიკაში.

საერთო ძალთა განწყობილებამ გერმანიის ცხოვრებაში შექმნა ისეთი პოლიტიკური ურთიერთობა, რომელიც საუკეთესო თავდებია ევროპის შინაურ, და საგარეო პოლიტიკის ძირიან-ფესვიანათ შეცვლის. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის და მის მიმყოლ დემოკრატიის პოლიტიკური უფლებით აღჭურვა ევროპის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დიდ ცვლილებას გამოიწვევს. ევროპის სამი უდიდესი კულტურული ერის დემოკრატია ამ ჟამათ გაერთიანდება და დემოკრატიულ წყობილებას მტკიცე საძირკველი ჩაეყრება. ამ შემთხვევაში გერმანიის დემოკრატიას პირველობის როლი შეხვდა. იგი შინაური და საგარეო პოლიტიკის გადემოკრატების მოციქულათ გამოვა და ამ მიმდინარეობას ყოველმხრივ გამოეხმაურებიან.

ახლა გერმანიის დემოკრატიას თამამად შეუძლიან დემოკრატიული ზავი წამოაყენოს და მთელი ქვეყნის ხალხს ამ ლოზუნგით მიმართოს. გერმანიის დემოკრატია თავისი ასეთი გამოსვლით შეთანხმების სახელმწიფ. დემოკრატიას ამ წინადადებაზე დაითანხმებს, რომ მომავალ ზავს მტკიცე საძირკველი ჩაეყაროს. უკეთუ ასეთ ზავს არ დასთანხმდებიან, მაშინ გერმანიის ხალხის თავდაცვის უნარი წარმოუდგენლათ გაძლიერდება და მისი შემუსვრა არავის არ ძალუძს.

მაგრამ ევროპის დემოკრატია გერმანიის დემოკრატიის ზავის მოწოდებას მხარს დაუჭერს და იმპერიალისტური ომის დღეები დათვლილია. საერთო წარმოებისა და პოლიტიკური ცხოვრების ურთიერთობა მოითხოვს ასეთ ზავს, მტკიცე მშვიდობიანობას და ხალხთა შორის თავისუფალ დამოკიდებულებას. მხოლოდ ამის შემდეგ ევროპის პროლეტარიატს მიეცემა საშუალება მრავალი დემოკრატიულათ გაუკეთებელი საქმეები გააკეთოს და ამ გზით დაუახლოვდეს თავის საბოლოვო მიზანს.

გერმანიაში მოხდა უდიდესი ცვლილება და ეს კი თავდებია მტკიცე ზავისა და მთელ ევროპაში დემოკრატიულ წყობილების განმტკიცების.

## პრესა

გაზეთ „საქართველოში“ ბ. შ. ამირეჯიბი ასე ახასიათებს ცნობილ კალმოსან ლ. ყიფიანს:

„როდესაც შემდეგში ჩვენი ბავშვები იკითხავენ ვინ იყო განსაცდელის დროს საქართველოს გმირი და მოღალატე, მათ ალბათ ეტყვიან:

— „ძვირფასნო, საქართველო დამარცხდა ბრძოლის ველზე, მაგრამ მას მოღალატე არ ჰყოლია. იყო ერთი ლევან ყიფიანი, რომელიც არა ქართველის ფულით და არა ქართულ ქაღალდზე ლანძღავდა საქართველოს და ამხედრებდა მის წინააღმდეგ ხალხს. ქართველებმა ის დასაჯეს მით, რომ არც ერთი პატიოსანი ქართველი მას თავს არ უკრავდა“.

საქართველოში იგი იძულებულია რუსულად სწერდეს და სომხურათ ილებდეს.

განა ეს სირცხვილი არ არის! სირცხვილია, რადგანაც გაზეთები სადაც ის ილანძღება, არც ერთი ქართული არ არის, არც ერთი ქართველის ფულით არ გამოდის.

ნამდვილათ კი რა ძვირფას და საყვარელ გვარს ატარებს ეს ადამიანი. რამდენი იყო საქართველოში კეთილშობილი ყიფიანი, რომლებმაც თავი შესწირეს სამშობლოს და არა ქართულის ფულით სადილი არ უჭამიათ“.

ჩვენ ძალიან გაგვაკვირვა იმ გარემოებამ, თუ რათ აუმხედრდა ბ. ლევან ყიფიანს გაზეთი „საქართველო“, რომელსაც არა ერთხელ უღალატია ქართველი ხალხისთვის. ბ. ამირეჯიბს თითონ გამოგვყევართ სინათლეზე: ყიფიანი თურმე დამნაშავეა იმაში, რომ რუსულათ სწერს და სომხურათ იღებს. ამ საზომით რომ მივუდგეთ „გრუზია“, მაგალითად არ არის დამნაშავე, თუმცა რუსულათ სწერს, რადგან ქართულათ იღებს, ხოლო „საქართველო“ ცაში მართალია, რადგან ქართულად სწერს და ქართულათვე იღებს!

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

7 ოქტომბერი.

**გერმანელების** პრესის ცნობით შვეციის გაზეთი „დაგენს ნაიხტერ“ ულოცავს გერმანიას ახალ მართველობას. იგი აღნიშნავს, რომ პრინცი მაკსი დიდი ხანია ცნობილია როგორც ლიბერალური მოაზროვნე. გაზეთი „სოციალ დემოკრატენი“ აღნიშნავს, რომ პრინცი ყოველთვის წინააღმდეგი იყო არსებულ ძველი შეხედულებისა. შვეიცარიის გაზეთი „ბერნერ ტაგებლატი“ სწერს: ვისაც სურს, რომ გერმანია არ დაიღუპოს, და ვინც იმ აზრისა არის, რომ ხალხის ხმა უნდა ისმოდეს თანამედროვე სახელმწიფოს მმართველობაში, ის მიულოცავს და სიხარულით შეხვდება გერმანიაში დამყარებულ ახალ წესწყობილებას.

რუმინიის გაზეთები ეხებიან ბულგარეთის მდგომარეობას და აღნიშნავენ, რომ მალინოვის გადადგმული ნაბიჯი არ იყო მიზან შეწონილი და სწორი.

**ხიზრაში** დროებითი მთავრობა შესდგა, რომელშიაც შევიდნენ ავქსენტიევი, ვოლსკი, რაკოვსკი, ჩაიკოვსკი და გენერალი ბოლდირევი.

**ბერლინი.** გაიმართა სამეფო ბჭობა გერმანიის იმპერატორის თავმჯდომარეობით, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა ყოფილ კანცლერმა გრ. გერტლინგმა, ფელდმარშალმა ჰინდენბურგმა, პრინც მაქსმა, ფონ ჰაიერმა, და სხვ. პრინც მაქსმა წარადგინა პროგრამა მოქმედებისა, რაზედაც უნდა შეთანხმებულიყვნენ პარტიები. შეთანხმება მოხდა. პრესა აღნიშნავს, რომ ეს შეთანხმება თავიდან აგვაცდენს შინაურ კრიზის და ახალი პოლიტიკური ცხოვრება იწყება გერმანიაში. რეიხსტაგის წევრი ლუდვიგ გასი გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატში“ ახასიათებს პრინც მაქს, როგორც კაცთმოყვარე პიროვნებას და სასურველ კანდიდატათ მიაჩნია კანცლერის თანამდებობაზე.

8 ოქტომბერი.

**ბერლინი.** სამხედრო მოხსენება. დასავლეთის ფრონტი. კამბრესა და შამპანში დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

გენ. ბოიანას ლაშქარი. სენ-კანტენის ჩრდილოეთით ცხარე ბრძოლებია. მტერმა შემოუტია სომმის არხთან და მცირე ტერიტორიაც დაიკავა, მაგრამ მერე ჩვენი კონტრ-იერიშით უკან დავახევინეთ ვიდრე რეუკურამდე.

შამპანში ათი დღის ცხარე ბრძოლის შემდეგ მშვიდობიანობა ჩამოვარდა. სწარმოებს მზვერავების მოქმედება მხოლოდ.

**კონსტანტინეპოლი.** პალესტინის ფრონტი. მტერი გუშინაც არ გადმოსულა ბაირატ ცაილეხის ხაზს აქეთ. სხვა ფრონტებზეც არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

**ბერლინი.** ჩრდილოეთით სენ-კანტენთან და არანკონთან მტერი შემოტევას აწარმოებს.

**ბალკანეთის ფრონტი.** სკუმბთან ბრძოლა სწარმოებს. ტრანს ოკეანეს პრეს ბიუროს გადმოცემით, პრესა ულოცავს გერმანიას ახალ კანცლერის დანიშვნას. დანიის გაზეთი „ალგემაინი“ აღნიშნავს, რომ ახალი კანცლერი ლიბერალური მოაზროვნე და სპეტაკი ზნეობის ადამიანი არისო.

**მოსკოვი.** ცენ. აღ. კომ. ცნობა. მთელი სირია ინგლისელების ხელშია. ოსმალებმა შეგვატყობინეს, რომ ისინი თანახმა არიან დასტოვონ კავკასია. გუშინ მოსკოვის გარშემო მოხდა აღლუმი მოსკოვის წითელ არმიისა.

**პეტროგრადი.** შესდგა ბულგარეთის კომუნისტური პარტია. სტუდენტები განთავისუფლებული არიან სამხედრო ბეგრისაგან. გერმანელთა კოლონიამ სოფია დასტოვა.

## ყუბანის მთავრობა

საუბარი ევგენი პ. გეგეჭკორთან.

ევგენი გეგეჭკორმა, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა ეკატერინოდარიდან შემდეგი გვიამბო: მე საქართველოს მთავრობამ დამავალა გავმგზავრებულიყავი ჩრდილოეთ კავკასიაში და მოლაპარაკება გამემართა ყუბანის მთავრობასთან საზღვრების მოწესრიგების და საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ. მთავრობის მიერ მოცემულ დირექტივების თანახმად მე უნდა მომეთხოვა ტუაპსე და არამც და არამც არ უნდა დამეთმო სოჭის და გაგრის ოლქები. მე რომ მივედი სოჭაში, მაშინ იქ ჩვენი ჯარები ნაკლებათ იყო. ბელორეჩინსკაიაზე იდგა მხოლოდ ორი როტა. მე თავდაპირველად მინდოდა გამეგო თუ როგორი სულიერი განწყობილება იყო სოჭის მცხოვრებლებებში. მე შევხვდი ჩვენს პარტიულ ამხანაგებს, შემდეგ სოციალისტურ ბლოკს და მათთან საუბრის დროს გამოირკვა, რომ საერთოდ სულიერი განწყობილება საქართველოს სასარგებლოდ იყო. ამის მიზეზი სხვათაშორის არის, რომ მათდამი აღწევდა ხმები ალექსეევის რაზმის მოქმედების შესახებ, რომელიც სასტიკად ეპყრობა ბალშევიკებს, სოც.-რევოლიუციონერებს და მენშევიკებსაც. სოჭაში ჩვენ მოვაწყვეთ მიტინგი, მე მოხსენება გავაკეთე მიმდინარე მომენტზე და გავაცანი მათ ჩვენი მდგომარეობა და ის მიზეზები, რომლებმაც ჩვენ გვაიძულა დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებინა, ილაპარაკა აგრეთვე ვ. ჯუღელმა. მე სოჭიდან დეპეშა გაუგზავნე ყუბანის მთავრობის თავმჯდომარეს, რათა ეცნობებია მას ჩემთვის ადგილი და დრო მოლაპარაკების შესახებ. მე ძლიერ გამიკვირდა, როცა პასუხი ჩემს დეპეშაზე მივიღე არა ყუბანის მთავრობისაგან, არამედ ალექსეევის შტაბიდან, რომელიც ამბობდა დეპეშაში, რომ უზენაესი ძალა უფლებით აღჭურვილი ორგანო ოლქში არის შტაბი და ყოველგვარი მოლაპარაკება და სხვა ასეთი მხოლოდ მასთან უნდა გაიმართოსო. შემდეგ გავემგზავრე ეკატერინოდარში, ძალიან კარგათ მიმიღეს. მეორე დღეს მიმიპატიჟა ზენერალ ალექსეევმა, მივედი მასთან და დავნიშნეთ მოლაპარაკების დღე. მე მოლაპარაკების დაწყებამდე ვინახულე ყუბანის მთავრობის თავმჯდომარე ბიჩი, რომელმაც დამარწმუნა, რომ ფაქტიურად ძალა-უფლება ალექსეევის შტაბის ხელშიაო. ბიჩმა არც კი იცოდა მათ ამ მოლაპარაკებაზე მიიწვევდენ თუ არა. ალექსეევს მე პირადათ მოლაპარაკების დროს გავკვრით უთხარი, რომ საჭიროა ამ მოლაპარაკებას დაესწროს ყუბანის მთავრობის წარმომადგენელი მეთქი. როგორც გამოირკვა მთავრობასთან და სამხედრო შტაბ შორის სრული სოლიდარობა არ არსებობს. შემდეგ გაიმართა მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკების შინაარსს მკითხველი გაიგებს იმ სტენოგრაფიული ანგარიშიდან, რომელიც ჩვენს გაზეთში, დღეს იბეჭდება. ფორმულა, რომელიც მე წამოვაყენე, ეს იყო სოჭის ოლქის დროებით საქართველოს საზღვრებში დარჩენა. ამ ფორმულის გარშემო ალექსეევის შტაბთან შეთანხმება არ მოხდა. ბიჩი კერძოთ შეურიგდა ამ ფორმულას და განაცხადა, რომ მოხალისეთა ჯარი—ეს დროებითი მოვლენაა, როცა ჩვენ მივიღებთ გარანტიას იმასა, რომ ბოლშევიკებისაგან დაცული ვიქნებით, ჩვენ შეგვიძლია საზღვრების შესახებ მაშინაც ვილაპარაკოთო. პურის შესახებ ყუბანის მთავრობა ჩვენ შეგვითანხმდა. პურს ის გვაძლევს, მხოლოდ ნოვოროსიისკი და სხვა ნავთსადგურები მოხალისეთა ჯარის ხელშია და შეაფერხებს პურის გადაგზავნას. ყოველ შემთხვევაში დაგვპირდენ პურის იმ ნავთსადგურებით გამოგზავნა, რომელიც ყუბანის მთავრობის ხელშია.

ალექსეევის ჯარის სამი მეოთხედი ყაზახებისაგან შესდგება. არიან ოფიცრებიც. ჯარი დაახლოვებით 60 ათასამდეა. ცუდათ არიან შეიარაღებულნი და ჩაცმულნი, ორგანიზაცია არ არის დამაკმაყოფილებელი. დისციპლინა მაგარია. ჯარის პოლიტიკური ხელმძღვანელია შულგინი, რომელიც სცემს გაზეთ „როსსიას“, რომლის მიმართულება გამოიხატება მონარქიული რუსეთის აღდგენაში.

ყუბანში საქართველოს შესახებ საშინელ ჭორებს და ინსინუაციებსავრცელებენ. ამ პროვოკაციის ქსელში გაბმულან ჩვენი ამხანაგებიც გაზეთი „ისკრა“ არ გამოდის. ჩვენი ორგანიზაციები ძლიერ სუსტად, მაგრამ მაინც მუშაობენ სარდაფებში, მალულად. ამხანაგებთან საუბრის დროს ისეთი შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ თითქოს ჩვენ გადავეჩვეულვართ ერთმანეთთან ლაპარაკს, საერთო ენა დაგვვიწყებია, მათ არ ცოდნ ათ თუ ვინ არის საქართველოს დემოკრატიის პოლიტიკური ხელმძღვანელი. მე გაუკეთე მათ ვრცელი მოხსენება და გავაცანი ნამდვილი ვითარება ჩვენში. მათი შეხედულება ცოტათი შეიცვალა. შემდეგ მე მოხსენება გავაკეთე დემოკრატიულ ორგანიზაციათა კრებაზე, რომელსაც დაესწრო 1000 კაცი. მოხსენებაში მე ავღნიშნე საერთოდ ჩვენი მდგომარეობა წინეთ და ეხლა და ხაზი გაუსვი საქართველოში მცხოვრებ რუსებთან ჩვენი მთავრობის დამოკიდებულებას (რადგანაც იქ საშინელ პროვოკაციას აწარმოებდენ ამ ნიადაგზე). კრებამ ჩემი მოხსენება სავსებით მიიღო. უნდა აღვნიშნო, რომ შუა მოხსენების დროს შემოვიდა ესერი ბერიოზოვი, მე მეგონა, რომ ის გამოვიდოდა წინანდელივით (როგორც ამას თფილისში შვრებოდა) საწინააღმდეგოთ, მაგრამ მისმა იმ საღამოს გამოსვლამ მე ძლიერ გამაკვირვა. მან ჩემი ნათქვამი დაამტკიცა და დაუმატა, რომ რუსეთში არსად არ არის ისეთი კუთხე, როგორიცაა საქართველო. მხოლოდ იქ არის დარჩენილი რევოლ. მონაპოვრებიო. რასაკვირველია ამ გარემოებამ კრებაზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მე შევეკითხე ბერიოზოვს თუ რათ ამბობს ის დღეს ასე და რათ გვებრძოდა თფილისში. როგორც მისი ნათქვამიდან გამოირკვა, მას უმოგზაურია მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში, ყოფილა კავკავში, ნოვოროსიისკში, ეკატერინოდარში და თავისი

თვალით უნახავს იქაური მდგომარეობა და შეხედულება საქართველოზე გამოუცვლია. შემდეგ მე მოვათავსე საქართველოს შესახებ შენიშვნები თითქმის ყველა გაზეთებში და ასე თუ ისე ის ატმოსფერა, რომელიც შექმნილ იყო ჩვენს გარშემო ოდნავ გაიფანტა,

იქ, სადაც ალექსეევის რაზმი ბრძანებლობს ძველი წესრიგი სავსებით აღდგენილია. იგივე ჟანდარმები და ბოქაულები ჩაუყენებიათ საქმეებში.

ან—ხანი.

# ქალაქის საბჭო

(შთაბეჭდილებანი).

7 ოქტომბრის სხდომა ქალაქის საბჭოში მარტო იმ მხრით არ იყო შესანიშნავი, რომ ბევრი ხალხი დაესწრო. სეირის ყურება ვის არ აინტერესებს, თუმცა ხმოსნებიც ბლომათ იყვენ, რაც აგრეთვე არაჩვეულებრივ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. ამ ბოლო დროს საბჭოს მაინცა და მაინც აღარ სწყალობენ: სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის ხმოსნების ნაწილს მოცალება არა აქვს, სხვადასხვა საქმეზე არიან დაბანდებული, დანარჩენ ფრაქციებს კი პოლიტიკური დღეები უფრო აინტერესებს, ვიდრე ჩვეულებრივი, ყოველდღიური მუშაობა. ხმოსნები მხოლოდ მაშინ ესწრებიან სხდომას „ერთსულოვნათ“, როცა მთავრობის წინააღმდეგ—გამოსვლაა მოსალოდნელი. დღესაც ყველანი დარაზმულიყვნენ, ყველა ფრაქცია თავ თავის ალაგას იყო. ირჩეოდა 30 სექტემბრის მიერ ნაანდერძევი კითხვა: საგანგებო რაზმისთვის უნდობლობის გამოცხადება და გამგეობის გადადგომა.

გამგეობის უმრავლესობის სახელით ნიკო ელიავამ შეძლო კითხვის პრინციპიალურ სიმაღლეზე დაყენება. მან სთქვა: საბჭომ 30 სექტემბრის დადგენილებით აგვიკრძალა მთავრობისათვის დახმარების აღმოჩენა, რასაც არსებული კანონი გვავალებს და შეუძლებელია სამსახურში დავრჩეთო. ბ-ნ ალ. კალიუჟნის კითხვა გრძნობის სამყაროში გადააქვს, მას არ ესმის კანონის მოთხოვნილება, თუნდაც ეს კანონი ხალხის მიერ იყოს გამოცემული, ამ მხრით ის სრულს თანხმობაშია კადეტ ხანდამოვის პარტიასთან. ს.-დ. ხმოსანის რ. არსენიძის სიტყვა ჩაქუჩივით ურტყამდა ამ გრძნობის მოციქულს და ხაზ-გასმით აღნიშნავდა, რომ დემოკრატს არ შეუძლია ხალხის წარმომადგენლობის წინააღმდეგ წავიდეს, თუ ის მართლა დემოკრატია და არა უბრალო მოხელე, მაგრამ თუმანოვ-ხუდადოვებმა გაიგეს არსენიძის აზრი და სულ სხვა ჰანგებზე მოყვენ სიმღერას. „არ შეგვიძლიაო“—ასეთი იყო მათი პასუხი. სამაგიეროთ ასევე გარკვევით დააყენა კითხვა ნაციონალ-დემოკრატმა პ. გოთუამ: მან ურჩ თვითმართველობას დაშლა მოსთხოვა, გოთუას წინადადებამ ყალყზე შეაყენა ესერ დაშნაკელები. საინტერესო იყო უკანასკნელების გამოსვლა ბ. იაგჯიანის პირით. ბევრი ილაპარაკა ამ ორატორმა, მაგრამ, არა მგონია, მსმენელებს რამე გაეგოთ მისი ლაპარაკიდან, ერთი რამ კი გამოსჭვიოდა მისი სიტყვებიდან: თავხედობა. ის მრავალსიტყვაობით მოუთხრობს დამსწრეთ, რომ სომხის ერს არ შეუძლია უღალატოს საქართველოს, რადგან თუ საქართ. დემოკრატიული მთავრობა დაეცა, ეჭვი არ არის მის ადგილს გოთუა—ვეშაპელი დაიკავებენ და ვაი მაშინ სომხობას. მართალი უთხრა იაგჯიანს ხმოსანმა გრუზენბერგმა: ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებსო. თუ თქვენ მართლა კი გრძნობთ, რასაც ლაპარაკობთ, რათ ჰკარით გულზე ხელი მთავრობას და პარლამენტს, რათ დაავალეთ გამგეობას, რომ მან დახმარება არ აღმოუჩინოს საგანგებო რაზმს. იაგჯიანი რომ ძმა-ბიჭურათ ლაპარაკობდა, ეს მან და მისმა ფრაქციამ მალე დაამტკიცეს, როცა ხელ-ახლა მისცეს ხმა მთავრობის წინააღმდეგ. დემოკრატიამ კარგათ უნდა დაიხსომოს ეს იუდას ამბორი. განსაკუთრებით სომხის დემოკრატიამ უნდა გაუწიოს ამას ანგარიში.

საერთოდ დიდი სიფრთხილე მართებს საბჭოს ს. დ. ფრაქციას, რომ ასეთი სკანდალი კვლავ არ განმეორდეს.

ელ.

—

7 ოქტომბრის სხდომა.

დღის წესრიგშია ქალაქის გამგეობის განცხადება გადადგომის შესახებ, რომელიც გამოიწვია 30 სექტემბერის საბჭოს კრებაზე მიღებულმა რეზოლიუციამ. დიდძალი საზოგადოება მოაწყდა თვითმართველობის დარბაზს, რომელმაც ყველა მსურველი ვერ დაიტია. ხმოსნების თითქმის მთელი შემადგენლობა იყო. კრებას დაესწრენ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია. თავმჯდომარეობს იაგჯიანი წინა რების ოქმის წაკითხვის შემდეგ, რომელიც უკამათოდ მიღებულ იქნა საბჭოს მიერ, თავმჯდომარე კითხულობს ქალაქის გამგეობის წევრების განცხადებას.

30 სექტემბერს ქალაქის საბჭომ, რომელმაც განიხილა შეკითხვა საგანგებო რაზმის შესახებ და მასთან დამოკიდებულება ქალაქის მილიციისა და მოისმინა რა განცხადება ამის შესახებ ქალაქის გამგეობისა, უარყო რეზოლიუცია ალ. ლომთათიძისა, სადაც აღნიშნული იყო, რომ მოისმინა რა განმარტება გამგეობისა, საბჭო კმაყოფილდება და გადადის მორიგ საკითხებზე, საბჭომ მიიღო ხმოსან თარხანოვის რეზოლიუცია და ამგვარათ გამოუცხადა გამგეობას უნდობლობა. ასეთი ვოტუმი საბჭოში ქმნის ისეთ მდგომარეობას რომ ჩვენი დარჩენა გამგეობაში შეუძლებელია შემდეგის მოსაზრებით: 1) არ დაკმაყოფილდა რა საბჭო გამგეობის ახსნა-განმარტებით, ამით მან უნდობლობა გამოუცხადა გამგეობის იმ პოლიტიკას, რომელსაც ადგა გამგეობა საგანგებო რაზმის და მილიციის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გამგეობის შეხედულება ამ საგანზე არის სწორი და ჩვენ არ გვაქვს არავითარი მიზეზი გადავუხვიოთ ამ აზრს. ამგვარათ ჩვენ აქ ვდგევართ იმ ფაქტის წინაშე, როდესაც გამგეობა არ არის გამომხატველი საბჭოს ზრახვების გამგეობის მუშაობისთვის კი საჭიროა, რომ იყოს ერთსულოვნება საბჭოს და გამგეობის შორის; 2) გადაწყვეტილება საბჭოსი, რომ გაუქმებულ იქნას მილიციის უფროსის ბრძანება უყენებს გამგეობას შეუსრულებელ საქმეს.

უკანონოა მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ გამგეობამ შესცვალოს მილიციის უფროსის ბრძანება. ეს ქმნის ისეთ მდგომარეობას, სადაც აუცილებლათ უნდა მოხდეს კონფლიქტი თვითმართველობას და მთავრობის შორის, ეს იმ დროს, როდესაც მთავრობა იღებს ყოველივე ღონეს, რომ ამ განსაკუთრებულ დროს შექმნას დემოკრატიული სახელმწიფო და იმ დროს, როდესაც მას ესაჭიროება განსაკუთრებული დახმარება ადგილობრივ თვითმართველობისაგან, ჩვენ ვერ ვხედავთ მიზეზებს, რომ განხეთქილება ჩამოვაგდოთ მთავრობასთან, რომელიც მოხდება თუ ჩვენ მთავრობის იმ ორგანოს არ დავეხმარებით, რომელსაც მიზნათ აქვს ებრძოლოს სპეკულიაციას, რომელმაც ასეთი კატასტროფული ხასიათი მიიღო. ამისთვის ვთვლით ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებას ჩვენთვის მიუღებლათ და შეუსრულებლათ.

ხელს აწერენ: ელიავა, კონიაშვილი, ფირუმოვი, ბესელიძე, ჩერქეზიშვილი.

თავმჯდომარე კითხულობს აგრეთვე ნ.-დემოკრატ პ. გოთუას განცხადებას.

**გოთუა** თავის განცხადებაში აღნიშნავს, რომ ხმოსანთა ერთი ნაწილი სისტემატიურად ილაშქრებს მთავრობის წინააღმდეგ და რადგანაც საბჭო არ არის ხალხის სურვილის გამომხატველი უნდა დათხოვნილ იქნასო. ხანგრძლივ კამათს იწვევს შეტანილ იქნას თუ არა დღიურ წესრიგში ელ. მახვილაძის განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ქალაქის საბჭოს რეზოლიუცია, მიღებული 30 სექტემბერს უნდა გადასინჯულ იქნას. კრება ხმის უმეტესობით ადგენს—ეს განცხადება შეტანილ იქნას დღიურ წესრიგში და გაირჩეს მეორე კითხვათ. კრება გადადის პირველ კითხვის გარჩევაზე. ქალაქის გამგეობის გადადგომის შესახებ **ალ. კალიუჟნი** აღნიშნავს, რომ მათ, სოც. რევოლიუციონერებმა, სხვა გამგეობის წევრებთან ერთად ხელი მოაწერეს იმ განცხადებას, რომელიც გამგეობამ შეიტანა საბჭოში. ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენი გამგეობა ყოველთვის სოლიდარულათ მოქმედობდა, პარტიულ კინკლაობას ჩვენში ადგილი არ ჰქონდა. ჩვენ ყველას საქმე გვაერთებდა. როდესაც გაჩნდა საგანგებო რაზმი, რომელსაც უნდა აღმოეფხვრა კონტრევოლიუცია და მოესპო სპეკულიაცია, მაშინ ცხადი გახდა ჩვენთვის, რომ მილიცია, რომელიც უნდა დახმარებოდა ამ რაზმს, ასცდებოდა თავის პირდაპირ დანიშნულებას. ყველასათვის ცხადია, რომ სპეკულიაციამ საშინელი ხასიათი მიიღო, მაგრამ დაარსება ამისათვის საგანგებო რაზმისა—ეს მიზანშეუწონებელია. ჩვენ უნდა დაგვეცვა მილიცია და გვეცადნა იგი არ ასცდენოდა თავის პირდაპირ დანიშნულებას. ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენმა ფრაქციამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მილიცია არ უნდა დახმარებოდა რაზმს.

**ნ. ელიავა** ქალაქის გამგეობის გადადგომა უკვე მომხდარი ფაქტია, მას ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ. მართალია, ჩვენ გამგეობას არ გვწამდა, რომ საგანგებო რაზმის დაარსებით მოისპობოდა სპეკულიაცია, ჩვენ ვცდილობდით, რომ ასეთი რაზმი არ დაარსებულიყო მაგრამ რაზმი დაარსდა და იგი ეროვნულ საბჭოს მიერ დაკანონებულიც იქნა. ჩვენ არ შეგვიძლიან ამ რაზმს, უმაღლეს ორგანოს მიერ დაკანონებულს—ვებრძოლოთ. ქალაქის თვითმართველობა—ეს ნაწილია მთელის და როგორც ნაწილი, ვალდებული ვართ დავემორჩილოთ მთელს. და როდესაც საბჭომ უარყო რეზოლიუცია საბჭოს თავმჯდომარის, ალ. ლომთათიძის, ამით უნდობლობა გამოუცხადა გამგეობას. გამგეობას არ შეეძლო აესრულებინა ის, რაც მას საბჭომ დაავალა. გამგეობა არ არის საბჭოს სურვილის გამომხატველი, ის უნდა გადამდგარიყო. ჩვენ არ შეგვეძლო აგვესრულებინა ის, რაც საბჭომ მიიღო არის შემთხვევები, როდესაც ქალაქის თვითმართველობები ოპოზიციაში უდგებიან მთავრობას, კონფლიქტი ხდება სახელმწიფოს და მათ შორის. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან კონფლიქტი ვიქონიოთ იმ მთავრობასთან, რომელიც დემოკრატიულია და მთელი ხალხის ნდობით არის აღჭურვილი.

**ელოტოვი** აცხადებს, რომ სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქციამ მისცა რა ხმა რეზოლიუციას, ამით ის არავითარ უნდობლობას არ უცხადებდა ქალაქის გამგეობას, ამისათვის გადადგომა არ უნდა მივიღოთო.

**აუშტროვი** (ს. დ.) მოითხოვს, რომ გამგეობის გადადგომა საბჭომ დაადასტუროს.

**ამირალოვი** (კ. დ.) ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ ვითომდა „კადეტთა“ პარტიას სურდეს საქართველოს რესპუბლიკის დანგრევა, მის დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდეთ. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ჯერ ნაადრევათ მიგვაჩნია დღეს დღეობით დაუწყოთ ნგრევა დამოუკიდებელ საქართველოს (ადგილიდან მოძახილი: ხომ ეცდებით დაანგრიოთ). ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენ პოლიტიკურ ოპოზიციას ვაწარმოვებთ. ორატორი ილაშქრებს საგანგებო რაზმის წინააღმდეგ, მისი არსებობა პრინციპიალურათ ჩვენ მიუღებლათ მიგვაჩნიაო.

**პ. გოთუა**. რაც აქ მოხდა 30 სექტემბერს ეს ლოღიკური დასკვნაა ყველა იმისი, რასაც აქ ადგილი ქონდა წინათ. ამბობენ რომ ხმოსნები საყოველთაო ხმის მიცემით არიან არჩეულიო. უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი ამრჩევლები დიდი ხანია გაემგზავრენ აქედან, მხოლოდ მათი არჩეულები განაგრძობენ აქ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მოღვაწეობას. საჭიროა ის, რაც მოხდა სეიმში, რომელმაც თავის თავი დაშლილათ გამოაცხადა, აქაც განმეორდეს, საბჭომ თავის თავი დაშლილათ უნდა გამოაცხადოს.

**იაგჯიანი** უსაყვედურებს მათ, ვინც ფიქრობს, რომ დაშნაკელების პარტია საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგია. ჩვენდა საბედნიეროთ საქართველოს მთავრობას ნამდვილი დემოკრატიის წარმომადგენელნი უდგანან სათავეში და განა ჩვენ ფრაქციას შეუძლიან ძირი გამოუთხაროს იმ სახელმწიფოს, სადაც სომხის ერს შეუძლიან თავისუფლათ ამოისუნთქოს. არ არის სხვა ისეთი მხარე, სადაც ტანჯულ სომხის ერს შეეძლოს თავი შეაფაროს. ერთად-ერთი მხარე—ეს საქართველოა და განა ჩვენ მის წინააღმდეგ გავილაშქრებთ? უბრალო ინსტიქტი თავდაცვისაც კი გვიკარნახებს ხელი შევუწყოთ საქართველოს რესპუბლიკის გამაგრებას. ჩვენ და საბედნიეროთ მთავრობას სათავეში დემოკრატია უდგას და თუ მოხდა ის, რომ მართვა გამგეობის სათავეში ზუბრები მოექცნენ, მაშინ ჩვენ ვიქნებით ასეთი მთავრობის წინააღმდეგი. ჩვენ თუ ხმა მივეცით თარხანოვის რეზოლიუციას არა იმიტომ, რომ გვინდოდა მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრება, არამედ საქმის ინტერესი გვიკარნახებდა. საბჭომ თავის რეზოლიუციით არავითარი უნდობლობა არ გამოუცხადა გამგეობასო.

(დასასრული იქნება).

# ვილსონის საზავო პროგრამა

ბერლინიდან მიღებული ცნობებით, გერმანიის მთავრობა დათანხმდა ზავი შეჰკრას იმ პუნქტების თანახმად, რომელნიც აღნუსხული იყვნენ ვილსონის მიერ მის განცხადებაში საზავო მოლაპარაკების შესახებ. ვუდრო ვილსონის განცხადებებიდან ცნობილია სამი: პირველი 8 იანვრის 1918 წ. კონგრესის სხდომაზე გამოქვეყნებული, 14 პუნქტისაგან შემდგარი ვრცელი საზავო პროგრამა; მეორე 25 თებერვლის მიწერილობა, რომელიც 4 პუნქტს შეიცავს და შეუძლია საფუძვლად დაედვას მტკიცე ზავს; მესამე, სიტყვა 4 ივლისს წარმოთქმული ვაშინგტონის საფლავზე კიდევ 4 მუხლისაგან შემდგარი, სადაც ხელ ახლად აშუქებს მიზნებს, რისთვისაც შეთანხმების სახელმწიფონი აწარმოებენ ომს. რადგანაც 4 მუხლიანი პროგრამა ზავის პირობებს ზოგადათ, საერთოდ ეხება, დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვარკვიოთ რომელ პირობები, ვილსონის მიერ წარმოდგენილი, აქვთ სახეში. გერმანიის კანცლერი პრინციპიალურად თანახმაა მიიღოს 4 პუნქტიანი ვილსონის საზავო პირობები.

იმავე კანცლერმა რეიხსტაგის მთავარ კომისიაში 24 იანვ. განაცხადა, რომ 8 იანვრის 14 პუნქტებისაგან შემდგარი პროგრამა, „შეიცავს ცნობილ პრინციპებს საერთაშორისო ზავისა, რაზედაც ჩვენ ვეთანხმებითო“. რომ დავუპირდაპიროთ ეს ორი განცხადება კანცლერისა, ჩანს „რომ გერმანიის მთავრობა თანახმაა მიიღოს არამც თუ 4 პუნქტი, არამედ უფრო დეტალური 8 იანვრის 14 პუნქტიანი საზავო პირობები“.

25 თებერვლის მიწერილობა შეიცავს შემდეგ 4 მუხლს:

1. უკუგდება ყოველივე თვითნებობის და ძალმომრეობის, რომელიც შეძლებს შეარყიოს მშვიდობიანობა; და თუ ეს ეხლა შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში მისი უსათუოდ განსაზღვრა.

2. ყველა ტერიტორიალური, ეკონომიური, პოლიტიკური თუ სუვერენობის კითხვები, უნდა წყდებოდნენ უახლოეს ხალხთა ინტერესთა მიხედვით და არა სხვა ხალხთა სურვილებისამებრ, რომელნიც შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ თავის ბატონობის და გავლენის გაფართოებაში.

3. ყველა ხალხთა თანხმობა, საურთიერთო დამოკიდებულების დროს იხელმძღვანელონ ყველასათვის მისაღებ ზნეობრივი კანონით, რომელიც შეეფერებოდეს ცივილიზაციურ ქვეყანას, რომ ამით ვალდებულება—ხელშეკრულებანი უსათუოდ დაცულ იქნან და არავის მიეცეს საშვალება რაიმე მოიმოქმედონ მათ წინააღმდეგ.

4. შექმნა და მოწყობა ისეთი ზავის, რომელიც [illegible] ყველა თავისუფალ ხალხთ შეერთებული ძალა, წინააღუდგებოდეს, ყოველგვარ უფლების დარღვევას და შექმნა საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს, რომელიც უნდა არჩევდეს ყველა უთანხმოებას ხალხთა შორის. (ჩვენ მხედველობაში გვაქვს, განმარტა ვილსონმა, ბატონობა უფლების, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს მართველთა თანხმობაზე, რომელიც თავის მხრივ დაეყრდნობა ორგანიზაციულად მოწყობილ საკაცობრიო აზრს).

8 იანვრის პროგრამა შეიცავს შემდეგ 14 მუხლებს:

1) **გამოქვეყნება ყველა ხელშეკრულებისა.**

2) **ზღვათ თავისუფლება** გარდა საერთაშორისო ძალდატანებისა.

3) მოსპობა, რამდენათ შეიძლება, **ეკონომიურ ზღუდეების, დამყარება თავისუფალ ვაჭრობის** იმ ხალხთა შორის, რომელთაც მიიღეს ზავი და გაერთიანდენ.

4) **შემცირდეს საყოველთაო შეიარაღება** იმდენად, რამდენად ეს მხოლოდ შინაური მშვიდობიანობისათვის იქნება საჭირო.

5) ახალშენთა დაყოფა ისე, რომ წინასწორათ იყოს დაცული ხალხთა თვითგამორკვევის უფლება და დაინტერესებულ მთავრობათა მიდრეკილება თუ რომელს უკანასკნელთა შორის (მთავრობათ) აქვს სამართლიანათ მეტი უფლებები, კიდევ უნდა გამოირკვეს.

6) **რუსეთის ყველა დაჭერილ ოლქების** ევაკუაცია: ერთნაირი თანამშრომლობა ყველა ერთა, რათა ხელი შეუწყონ რუსეთის პოლიტიკურ და ნაციონალურ განვითარებას მის პირად კანონების მიხედვით და შესვლა თავისუფალ ხალხთა ოჯახში.

7) ევაკუაცია და აუცილებლათ აღდგენა **ბელგიის სუვერენობისა.**

8) ევაკუაცია **საფრანგეთის ტერიტორიის**; აღდგენა დაკავებულ ადგილების; გასწორება უსამართლოებათა, რომელიც მიყენებულ იქნა ელზას ლორენის ჩამოგლეჯით.

9) **იტალიის საზღვრების გამოსწორება** ნაციონალური პრინციპის მიხედვით.

10) მიეცეს უფლება ავტონომიურ განვითარებისა ავსტრია-უნგრეთის ხალხებს.

11) **აღდგენა რუმინიის, ჩერნოგორიის და სერბიის,** რომ უკანასკნელს მიეცეს აგრეთვე ზღვით სარგებლობის უფლება. (ზღვისკენ გასვლის უფლება); საერთაშორისო გარანტია, რომ დაცულ იქნას დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა ბალკანეთის სახელმწიფოთა.

12) უზრუნველყოფა ოსმალეთის იმპერიის ოსმალურ ნაწილებს სუვერენიტეტისა; გარანტია დანარჩენ ხალხთა, რომლებიც ოსმალეთის ბატონობის ქვეშ იმყოფებიან, რომ ისინი თავისუფლად განვითარდებიან; გახსნა დარდანელის საერთაშორისო გარანტიით.

13) პოლონეთის შექმნა ყველა პოლო-

# მოლაპარაკება

## ევგ. გეგეჭკორისა ალექსეევის შტაბთან და ყუბანის მთავრობასთან.

(სტენოგრაფიული ანგარიში)

(გაგრძელება)

**გეგეჭკორი** მე გიპასუხებთ პირდაპირ ამ საკითხზე. ჩვენ აქ არავითარ მონაწილეობას არ ვღებულობთ. მაზნიაშვილის მოხსენებიდან თქვენ დაინახეთ, რომ როცა ჩვენ შავი ზღვის გუბერნიისაკენ მოვდიოდით, ჩვენი მიზანი იყო მხოლოდ ჩვენი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. ინფორმაციის უქონლობას და ერთი მეორის ამბების უცოდინარობას, რასაკვირველია შეუძლია დაბადოს ყოველგვარი ეჭვები და გაუგებრობა. ჩვენ ბალშევიკებიც გვდებენ ბრალს იმაში, რომ თითქოს ჩვენ თქვენთან კავშირი გვქონდეს. მე კი ვფიქრობ, რომ ამჟამათ ჩვენი თანამშრომლობა, შეხვედრა მხოლოდ შემთხვევითია, სხვადასხვა სუბიექტიური მოსაზრებებით დღეს ჩვენ ერთ წერტილს ვურტყამთ, რომელიც წარმოადგენს მტრულ ძალას, როგორც ჩვენთვის, ისე თქვენთვისაც, ასე რომ ჩვენ შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. ჯერ ჯერობით ჩვენი მიზანია დავიცვათ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრები ყოველგვარი მტრებისაგან. როგორ იქნება შემდეგში, ამაზე პასუხის გაცემა ძნელია. ჯერჯერობით კი როგორც ვსთქვი ჩვენი უმთავრესი საქმეა დაცვა დემოკრატიული რესპუბლიკის, მისი საზღვრების, ხალხის, ტერიტორიის, უფლებების ყველა იმათგან, ვინც მტრობას გაუწევს იქნება ეს ბალშევიკები თუ სხვა ვინმე ჩვენთვის სულერთია. ფართე დაპყრობით მიზნებს ჩვენ არ ვისახავთ და ამიტომ არავითარი საფუძველი არ არის იმისათვის, რომ გვეკიჟინოთ, რომ ჩვენ გერმანელებთან კავშირი შევკარით თქვენ და რუსეთის წინააღმდეგ და იცოდეთ, რომ თუ ჩვენს საქმეებში დაიწყეს ჩარევა და მოისურვეს ჩვენი პროგრამის შეცვლა, ჩვენ მთავრობიდან მაშინათვე წავალთ, თუმცა შესაძლებელია მოიძებნოს მეორე ჯგუფი, რომელიც ამ პირობებში ძალა უფლებას მიიღებს თავის თავზე. თუ ჩვენ მიერ ჩვენი საქმების კეთება თქვენ საბაბს გაძლევთ იმისათვის, რომ სთქვათ, ეს ჩვენის მხრით თქვენი შევიწროება არის, მაშინ ჩვენც გვაფიქრებინებს, რომ აქ შექმნილი პირობები თქვენის მხრით შევიწროებაა ჩვენი, რომლის საწინააღმდეგო გარანტიები უნდა მოგვცეთ ჩვენ.

**სტეფანოვი**. გეგეჭკორის და მაზნიაშვილის განმარტება გვიადვილებს საზღვრების შესახებ საკითხის გადაჭრას, თუ მე ნამდვილად გავიგე მათთვის საკითხის გადაჭრა მდგომარეობს საზღვრების უზრუნველყოფაში და თუ ეს ასეა, მაშინ საქართველოს წარმომადგენლებმა უნდა განაცხადონ, რომ ისინი ჩვენი საზღვრებიდან ჯარებს წაიყვანენ.

**ლუკომსკი**. ყველა ამ საკითხებზე ერთად მსჯელობა ძნელია, საერთო პასუხები გაურკვეველია. რას ნიშნავს ევ. პ. გეგეჭკორის ფრაზა, რომ სანამ ჩვენ ერთ წერტილს ვურტყამდით, და რომ ბალშევიკებიც მათ ბრალს სდებენ მოხალისეთა ჯართან კავშირის დაკავებაში. მეორე საკითხი ეს პურის შესახებაა, საქართველოს არა აქვს თავისათვის პური და ამასობაში ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანელები ყიდულობენ იქ პურს და გააქვთ. ამაზე უნდა ითქვას დაწვრილებით. და თუ ჩვენ საქართველოს მივეცით პური, მან უნდა მოგვცეს იმის გარანტია, რომ ეს პური გერმანელების არ ჩაუვარდება ხელში. რაც შეეხება რუს ოფიცრებს და მოხელეებს, მე მგონია, რომ შეურაცყოფილი ხალხი ყოველთვის გადააჭარბებს, მაგრამ ხაზს უსვამ იმ გარემოებას, რომ ეს საკითხი უნდა გაშუქებულ იქნას ყოველ მხრივ საბუთებით, და არა ზეპირათ. მე ვფიქრობ ამის საწინააღმდეგო არ შეიძლება რამე ითქვას. სასურველია გავიგოთ საქართველოს დამოკიდებულება რუსეთის, იმ ქონებაზე, რომელიც იქ დარჩა, ამიტომ მე საჭიროთ მიმაჩნია ვსთხოვო საქართველოს წარმომადგენელს მიპასუხოს ამ კითხვებზე, სანამ ცალკე კითხვების გადაჭრას შეუდგებოდეთ.

**გეგეჭკორი** ამ მოცემულ კითხვების ნაწილზე მე პასუხი უკვე მოგახსენეთ. კერძოთ, რაც შეეხება რუს ოფიცრების და მოხელეების მდგომარეობას საქართველოში, მე შემიძლია წინადადებით მივმართო მოხალისეთა ჯარს და ყუბანის მთავრობას იყოლიოს საქართველოს მთავრობასთან თავისი ოფიციალური წარმომადგენელი, მაშინ, მე მრწამს, რომ ასეთ გაუგებრობას და იჭვებს ადგილი აღარ ექნება ჩვენ შორის. რაც შეეხება საქართველოში დარჩენილ ქონებას და ფულის ნიშნებს, მე უნდა განვაცხადო: ფულის ნიშნები ისე ცოტა დარჩა, რომ მაზე ლაპარაკიც ზედმეტია, დღემდე და დღესაც ჩვენ ვარსებობთ იმ მანქანების წყალობით, რომელნიც განუწყვეტლივ მუშაობენ. დარჩენილი ქონების შესახებ საკითხი უნდა გადაწყდეს სულ სხვა ნაირ განწყობილებაში და უფრო მხვილ უფლებრივ და ავტორიტეტულ კრებაზე. და როდესაც ჩვენ საქმე გვექნება რუსეთის სახელმწიფოსთან, მაშინ გარწმუნებთ, რომ ჩვენ უარს არ ვიტყვით დარჩენილი ანგარიშის გასწორებაზე.

ამასთან ერთად გენერალ ალექსეევის განცხადებაზე ტუაპსეში ჩვენი მთავრობის დაყენების შესახებ, უნდა განვაცხადო შემდეგი: როდესაც პირველად გენ. მაზნიაშვილმა ალო ტუაპსე, მოხალისეთა ჯარის არსებობაზე არავინ არაფერი იცოდა და რასაკვირველია წესრიგის დასამყარებლად გენ. მაზნიაშვილმა დანიშნა მთავრობა, როცა ტუაპსე ბალშევიკებს გადასცა, გენერალ მაზნიაშვილს მოუხდა თფილისში გამგზავრება და მან წასვლის დროს გენ. მასლოვსკი დანიშნა სამხედრო ნაწილის უფროსად, ხოლო გენერალ ვაშაკიძეს გადასცა საერთოდ მმართველობა და გენერალ გუბერნატორის მოვალეობის ასრულება. ქ. ტუაპსე ხელ ახლა აღებულ იქნა გენ. მასლოვსკის რაზმით და ქართველი ნაწილებით და საერთოდ სამხედრო უფროსების ბრძანებით მთავრობა თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. გენ. ვაშაკიძის მიერ დანიშნული მთავრობის გადაყენებამ მოხალისეთა ჯარის ნაწილების და მათ მმართველების მიერ განცვიფრება გამოიწვია. მე გარწმუნებთ თქვენ, რომ მთავრობის დანიშვნა ტუაპსეში გამოიწვია რეალურმა აუცილებლობამ და რომ შემდეგში არ განმეორებულიყო ის საშინელი ამბები, რომელსაც ტუაპსეში ადგილი ჰქონდა, რომლის დროს ძლიერ დაზიანდნენ დარჩენილი ქართველები. და მოხალისეთა ჯარის ორგანიზაციას, რომელსაც დასახული აქვს ფართე მიზნები და პერსპექტივები რუსეთის აღდგენის გარშემო არ შეუძლია ყოველთვის თავის დროზე უზრუნველყოს მცხოვრებთა ცალკე ჯგუფების მშვიდობიანი არსებობა. სოჭის ოლქში 21 პროცენტამდე ქართველები სცხოვრობენ და მე მგონია, რომ სანამ საქართველო არ მიიღებს გარანტიას იმისას, რომ ტუაპსის ისტორია არ განმეორდება, მას, საქართველოს, არა აქვს არც პოლიტიკური და არც მორალური უფლება სოჭის ოლქი დაცალოს. მე არ დაგიმალავთ თქვენ, რომ ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა ტუაპსე დაბეჯითებით მოგვეთხოვა, მაგრამ მე ამას არ ვშვები. ჩვენ ტუაპსეს დატოვებას ვსთვლით ჩვენის მხრით დიდ დათმობათ, მაგრამ ჩვენ არ გვსურს საქმე გავართულოთ და ამ დათმობაზე მივდივართ, ამ გარემოებას თქვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ. ამასთან ერთად მე ვფიქრობ ჩვენ მიერ სოჭის ოლქის დაკავება სრულებით არ ეწინააღმდეგება თქვენს მიზნებს და საქმეს.

**დენიკინი**. გაცნობებთ, რომ გენერალ მასლოვსკი მაზნიაშვილის განკარგულებაში არ იყო და როდესაც ქართველებმა დაიხიეს სოჭისაკენ, მათთან ერთად წავიდა მთავრობაც. მოხალისეთა ჯარი, რომელსაც ომის მიერ მინიჭებული უფლებით სტავროპოლის გუბერნია, ყუბანი, რასაკვირველია, როცა ცალკე ქალაქებს იღებს, თავის მთავრობას აყენებს. გაუგებრობას იწვევს ქართველი რაზმის გაძლიერება ჯუღელის და კონიაშვილის ახალი რაზმებით, რომელიც გადმოიხვეს სოჭში.

**ბიჩი**. ჩვენ ყოველთვის კრიტიკულად და ფრთხილად ვეპყრობოდით იმ ცნობებს, რომელიც რუს ოფიცრების და მოხელეების შევიწროების შესახებ მოდიოდა აქ მე კარგათ ვიცნობ ქართველებს და ამიტომ არ უჯეროდი ამ ხმებს.

ამიტომ მე ღრმათ მწამს ყველა ის, რაც აქ ევგენი პ. გეგეჭკორმა სთქვა და ყუბანის მთავრობის სახელით ვაცხადებ, რომ ამ საკითხზე მსჯელობა ამოწურულია. მე უნდა აღვნიშნო, რომ ახლა ცალ ცალკე ერების დამოკიდებულებაში ზოგიერთ ელემენტებს შეაქვთ გამთიშველი და წამსისიანებელი სული, ეს განხეთქილება და წასისიანება ხდება გარეშეთა მიერ განსაზღვრული სისტემის თანახმად. მე ვფიქრობ, რომ აქაც ისეთი ხელი მუშაობს, რომელიც ჩვენ წინეთაც გვთიშავდა, აქ მუშაობს ის მესამე, რომელიც ყოველთვის გახარებულია, როცა სხვები დავობენ. მე ჩვენი პროგრამის მიხედვით უნდა ვსთქვა, რომ ყველა კერძო სადავო საკითხები, რომელიც აქ აღმოცენდება, ადვილათ შეიძლება მოვიშოროთ, ხოლო ჩვენი ურთიერთობის საფუძვლები გვაძლევს საშვალებას ვეწინასწარმეტყველოთ, რომ ჩვენ ყველაფერში შევთანხმდებით. რაც შეეხება პურის საკითხს როგორმე ის უნდა მოვაწესრიგოთ, რომ გერმანელებმა არ ისარგებლონ. ამის შესახებ მე მგონია ჩვენ გამოვიმუშავებთ ისეთს ზომებს, რომელიც ორივე მხარესათვის მისაღები იქნება.

ევგენი პ. გეგეჭკორის ახსნა განმარტება საქართველოში დარჩენილი რუსეთის ქონების შესახებ მე სავსებით მაკმაყოფილებს და ჩვენ ამ ჟამად არ ვაცხადებთ პრეტენზიას დარჩენილი ქონების დაუყონებლივ გაყოფაზე, თუმცა ვიცი, რომ ნაწილი იქ დარჩენილია. ამის გაყოფა ცხადია უფრო მხვილი და მთელი რუსეთის ორგანოს საქმეა.

შავი ზღვის გუბერნიის ყუბანის ოლქში შესვლა მე მგონია არ გამოიწვევს საქართველოს პროტესტს. ჩვენ აქ გვაქვს უფლება განვაცხადოთ, რომ საქართველოს არა აქვს უფლება მას ხელი წაუპოტინოს. და თუ ეს მთავარი კითხვები გადაჭრილი იქნება, მაშინ ჩვენ შეგვიძლია შევუდგეთ ცალკე კითხვების გადაჭრას.

**ლუკომსკი**. მე საკითხი რუს მცხოვრებთა მდგომარეობის შესახებ საქართველოში დამთავრებულათ არ მიმაჩნია. შეუძლებელია ასე ერთი ხელის მოქნევით გადავსწყვიტოთ ეს საკითხი, როგორც ამას ყუბანის მთავრობის წარმომადგენელი ბიჩი შვრება. საჭიროა გარკვეული გარანტიები ამის შესახებ. მე

ნელების მიერ დასახლებული ტერიტორიებიდან და მის ხელშეუხებლობა.

14) განსაკუთრებული შეთანხმებით დაარსება ხალხთა საერთაშორისო კავშირისა დიდ თუ პატარა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფით.

## ახალი ამბები

**დღეს, ნაშუადღევის 1 საათზე შესდგება საოლქო კომიტეტის კრება.**

◆ 7 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ფილტვების ანთებით თავის ბინაზე (გრიბოედოვის ქ. 28) ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამხანაგი **აკაკი სოლომონის ძე გაბრიჩიძე** (პლებეიშვილი).

◆ **ხორბალი.** ადესიდან ფოთში მოვიდა 150,000 ფუთი ხორბალი, მაგრამ საკმაო ვაგონები არ ყოფილა გადმოსაზიდათ.

◆ **ქვანახშირის მუშებში.** ტყიბულიდან დაბრუნებულმა, მუშათა კითხვის მომწესრიგებელ თათბირის (მუშათა ორგანიზაციების კომისიის) რწმუნებულმა ზ. გურულმა შემდეგი გადმოვცა: მუშათა კომისიამ პირნათლათ და წარმატებით აასრულა თავის მოვალეობა. კომისიამ დაათვალიერა და შეისწავლა სამრეწველოს მდგომარეობა და შრომის პირობები, მოუსმინა ორივე მხარეს და შემდეგ გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებებისა, რომელთა დაუყონებლივი ასრულება კომისიას აუცილებლათ მიაჩნია, რომ მუშებს გაუადვილდეს მოვალეობის ასრულება. მატერიალურის მხრით კომისიამ ცვლილება შეიტანა მხოლოდ სურსათის საქმეში, რაც მისი დადგენილებით „ფირმამ უნდა მიაწოდოს მუშებს იმ ფასებში, რაც დაუჯდება ხაზინას რკინის გზის ტარიფის დაუმატებლათ", ხოლო ხელფასი დატოვა უცვლელათ. კომისიის საერთო შთაბეჭდილება ისაა, რომ მუშათა კითხვის არევაში დიდი წილი მიუძღვის მწარმოებლებს დაწყებული ძველი პატრონიდან დღევანდლამდე. (რკინის გზის სამმართველო). ამხ. გურულთან ერთათ ჩამოვიდა მუშათა რწმუნებული და სამრეწველოს გამგე ინჟენერი აბაშიძე, რომელთაც დავალებული აქვთ მიუთითონ ვისაც ჯერ არს ყოველივე ნაკლზე.

◆ **საქართველოს რკინის გზათა უფროსმა** ბრძანება გასცა თანახმად საქართველოს რკინის გზების მოსამსახურეთა პირველ სადელეგატო ყრილობის და გზათა მიმოსვლის მინისტრის დადგენილებისა, ადგილობრივ კომიტეტებში თანამდებობისაგან თავისუფლდებიან მხო- [illegible]

დობრ: მუშების დაკმაყოფილება სექტემბრის ჯამაგირებით, გადაეცა განსახილველად თფილისის ცენტრალურ მომრიგებელ კამერას.

◆ შრომის მინისტრმა ცირკულიარული განმარტება დაუგზავნა თფილისისა და ქუთაისის გუბერნიისა და სოხუმის ოლქის შრომის კომისრებს, რომ ამა წლის 2 აგვისტოს კანონის ძალით საქარხნო დაწესებულებების თვალყურის დევნა დაკისრებული აქვთ შრომის კომისრებს, რომელნიც მოვალენი არიან თავის მოვალეობის ასრულების დროს უხელმძღვანელონ სამრეწველოებს შრომის წესდების შესაფერ მუხლებით და საქარხნო ინსტრუქციის ნაკაზით, აგრეთვე შრომის კომისრებთა დებულებებით.

◆ **თფილისში** ჩამოვიდა ცნობილი კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი, რომელსაც განზრახვა აქვს ამ ახლო მომავალში დასდგას ძველი ქართული ჰიმნების საღამო. ამავე საღამოზე დაიდგმება ცხოველი სურათ ს სახით კ. ფოცხვერაშვილის მიერ შემუშავებული თავისუფალი საქართველოს ძეგლის პროექტი ეროვნულ დროშით, ჰიმნით, სახელწიფო ღერბით.

◆ **მთავრობის თავმჯდომარემ** მიმართა შრომის სამინისტროს, რომ მან წინადადება მისცეს საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირს, რათა უკანასკნელმა საშუალება მისცეს მთავრობას კონფლიქტი მშვიდობიან გზით დამთავრდეს.

◆ **ხოლერა.** 7 ოქტომბერს ქალაქის საავათმყოფოში არც ერთი ხოლერიანი არ მიუყვანიათ; წინად მოყვანილთაგან მორჩა 4, მოკვდა ერთი. ამ დღეს საავათმყოფოში ითვლებოდა 49 ხოლერიანი და 11 საეჭვო ავადმყოფი.

◆ **საქართველოს სომეხ-ეროვნულ საბჭოს** ლტოლვილთა განყოფილებამ გაუგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხსენებულ განყოფილების საწყობების სია, რომ მათი რეკვიზიცია არ მოახდინონ.

◆ **თფ. მაზრის აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმი.** თფ. მაზრის აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ მაზრის საერობო ხმოსანთა პირველი კერძო თათბირი დანიშნულია 11 ოქტომბერს, დღით პარასკევს, საღამოს 6 საათზე. პრეზიდიუმი სთხოვს ხმოსანთ და აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ერობის საკითხით, აუცილებლად დაესწრონ ზემოაღნიშნულ თათბირს პეტრე დიდის ქუჩა № 22, მესამე სართულში, აღმასრულებელ კომიტეტის ოთახში.

◆ **დატუსაღება.** მომარაგების კომიტეტში სააფთიაქო განყოფილებიდან მედიკამენტების ქურდობისთვის დაატუსაღეს შემდეგი სააფთიაქო განყოფილების მოსამსახურენი: ზ. ოგანეზოვი, ა. პლოტ- [illegible]

◆ **სახალხო თეატრი.** დღეს სახ. სახ. არს. ქართ. წარმ. მმართველ წრის მიერ სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება „ლაქია" და „დავას" მეოთხე მოქმედება. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი სახალხო.

◆ **ქურდობა.** ამ ორი დღის წინათ ალექსანდრეს ქუჩაზე კოტე ფოცხვერაშვილის ბინიდან წაუღიათ ბოროტ გამზრახველებს ტანსაცმელები და სხვადასხვა ნივთები.

◆ **ქურდობა.** 7 ოქტომბერს ღამით, პუშკინის ქუჩაზე № 17 ჩანჩალაშვილის საგალანტერეო მაღაზიიდან ბოროტ გამზრახველებმა წაიღეს 20,000 მანეთის სხვადასხვა ნივთები.

— იმავე დღეს კახეთის ქუჩაზე № 10 ალახვერდოვის ბინიდან, მისმა შვილმა ლევანმა 20,000 მანეთის სხვადასხვა განძეულობა წაიღო. ლევანი ალახვერდოვი მიიმალა.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს საღამოს 5 საათზე მეორე რაიონის ბიუროს ბინაზე შესდგება ამავე რაიონის ქალთა კოლექტივის კრება.

## მთავრობაში

მთავრობამ დაადგინა: სასახლის შინაური გამგებლობა, როგორც მაგალითად: კამენდატურა, ყარაული და სხვა გადავიდეს მთავრობის თავმჯდომარის ხელში.

ამიერ-კავკასიის სეიმის დადგენილება, მოხელეთათვის საგზაო და დღიურის სარჩოს საზომის შესახებ, გავრცელებულ იქნას რკინის გზის კონტროლის მოსამსახურეებზედაც დღიდან ამ დადგენილების გამოცემისა.

—

აღკრძალულ იქნას მიღება სახელმწიფო გადასახადების გადახდისათვის სათანადო თანხისა ასსიგნოვკების ტალონებით და ჩეკებით მიმდინარე ანგარიშებზე სახელმწიფო ბანკებში და სახაზინოებში—და მიეცეს ფინანსთა მინისტრს უფლება ნება-დართოს ამ გვარ ოპერაციებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მის მიერ თვითეულჯერ დადგენილ პირობების მიხედვით.

შინაგან საქმეთა მინისტრების მოხსენება საქართველოს ტერიტორიაზე წიგნთსაცავსამკითხველოების გახსნის შესახებ პრინციპიალურად მოწონებულ იქნას, ხოლო მისი დაწვრილებითი შემუშავება მიენდოს შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრების შეთანხმებით.

გაეხსნას შინაგან საქმეთა მინისტრს 10 მილიონის ფონდიდან 50,000 მანეთის კრედიტი ხარჯთ-აღრიცხვის წიგნთსაცავსამკითხველოების გახსნისათვის და გაზეთების გაგზავნისათვის.

—

მიეცეს განათლების მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 15,000 მან. კადეტთა კორპუსის და საქალებო ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ უმწეოდ დარჩენილ მოსწავლე ქალთა და ვაჟთა დახმარების აღმოსაჩენად.

—

სამხედრო მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: კავკასიის ლაშქრის ზურგს უკან მყოფ სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარეს გენ. კლიმაშევსკის და მის მდივანს ნემიროვსკის მიეცეს ათმილიონიან ფონდიდან სალიკვიდაციო შემწეობით ორი ათასი მანეთი, თითოს 1000 მანეთი.

—

იუსტიციის მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: სამხედრო-საველე სასამართლოს ყველა დადგენილებანი წარედგინოს სამხედრო მინისტრს სისრულეში მოსაყვანათ და სხვა სათანადო განკარგულებისათვის.

## პატარა აკაკის (პლებეიშვილის) ხსოვნას

**საწუთროვ დაუნდობელო!**

პატარა აკაკი რომ მოგვტაცე, რას გვპირდებოდი? ჩვენი აკაკი—ეს ხომ ის ჩუმი, წყნარი, მაგრამ დიდი ძალის პატრონი და იმედების მომცემი იყო? რა მშვენივრათ, მწყობრათ ჩამოასხამდა თავის აზრს. მუშა—მუშის შვილი,—დალაგებული ენით მოუთხრობდა მუშათა მისწრაფებას, მათ გულის ნადებს, მათ აზრებს და ტენდენციებს. იგი კი არ იგონებდა, წიგნებიდან კი არ იღებდა, არა, თავის გულში კითხულობდა, გულის სიღრმიდან ამოქონდა

ამაში იყო მისი სიძლიერე. და ჩვენ ველოდით, რომ მუშა მწერალი, პროლეტარი, პროლეტარიატის აზრთა მფრქვეველი, გამოეზრდებოდა ჩვენს ახალ თაობას.

რა უდროვო დროს, რა მუხანათათ მოწყვიტა ცხოვრების მკერდიდან ულვთო ბედმა ეს ნორჩი ყვავილი?

ვინც არ იცნობდა პირადათ, ის მის ნაწერებიდანაც გულმოკლულობას იგრძნობს მისი სიკვდილის გამო. ინტერნაციონალზე ოცნებობდა, მუშათა ბედს შეხაროდა მის გაჭირვებას დასტრიალებდა, მის გზას არკვევდა—აი საგანი მისი წერილების. ასეთი იყო ის ყველასათვის, მასისათვის.

მაგრამ ვინც იცნობდა მას ახლო, მისთვის ის კიდევ უფრო დაუფასებელი დანაკარგია. გაგიგონიათ მისგან მაღალი სიტყვა, დადლილობის ჩივილი, გსმენიათ სამუშაოდან გასვლის სურვილი? ან გინახავთ უსაქმოთ, ეს მუყაითი, დაუღალავი მუშაკი?

ან თუ მოსწრებიხართ, რომ მას მინდობილი საქმე—სიპატარავით ან სხვა მიზეზით უკუეგდოს. სადაც მიუთითებდა მოვალეობა მუშის სამსახურისა—იგი იქ იდგა თავის პოსტზე, როგორც დარაჯი თავის კლასის ინტერესების, როგორც თავდადებული მუშაკი საერთო საკაცობრიო იდეალებისთვის.

და აი ასეთი იშვიათი ადამიანი მოგვტაცა დაუნდობელმა საწუთრომ, ახალგაზრდა, მომავლის იმედებით სავსე ისე დააჭკნო, რომ მის უტყუარ ნიჭის სავსებით გაშლას ვერ მოვესწარით.

ქუთაისის მუშები მეტას მეტად კარგათ იცნობენ მას და რა მწარეთ ამოიგმინებს მათი გული ამ მოულოდნელ ამბის გაგონებაზე. თფილისის პროლეტარიატიც, კარგათ შეეთვისა მას და შეითვისა იგი.

მისი სიკვდილი ყველასთვის გლოვის დღეა.

და მეც, ჩემო მეგობარო და ნიჭიერო აკაკი გულდათუთქული დავყურებ შენს ცხედარს და არ ვიცი რა გითხრა: მუშათა კლასს ეს ულმობელი ცელი ცხოვრების დაუნდობლობის ვერ გასთელავს და მისი რაზმებიდან ახალ ახალი გამოყვებიან შენს თავდადებულ გზას, რომ შენი ტრფობა მშრომელთა განთავისუფლებისა რეალურ სინამდვილეთ აქციონ.

მშვიდობით, ძმაო! მშვიდობით.

რ. არსენიძე.

## აკაკი პლებეიშვილი

(გაბრიჩიძე).

7 ოქტომბერს, ფილტვების ანთებისაგან თფილისში გარდაიცვალა ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებში კარგათ ცნობილი მუშა-ინტელიგენტი აკაკი გაბრიჩიძე. პარტიის ღვიძლი შვილი, მის ორგანიზაციებში აღზრდილი და გამობრძმედილი, ის ერთხელაც არ დაშორებია იმ მოძრაობას, რომელსაც აწარმოებდა ჩვენში სოციალდემოკრატია. ჯერ კიდევ ბავშვი, 15—16 წლის აკაკი, 1905 წლის მოძრაობის შემდეგ, სწორეთ იმ დროს, როცა რეაქციის ცეცხლი სწვავ და ჩვენს ქვეყანას და საუკეთესო მებრძოლებს ისტუმრებდა ციხეებში და ციმბირში, ის მოვიდა ჩვენთან ხონის პარტიულ ორგანიზაციაში და აქედან ერთი დღითაც არ დაშორებია ამ მისთვის ძვირფას ოჯახს, მისით ცხოვრობდა და იხარებდა. მალე ხონიდან ის ქუთაისში გადავიდა და მთელი თავისი ახალგაზდური გატაცებით ჩაება ჩვენი მაშინდელ ქუთათურ პარტიულ გაზეთის გარშემო გაჩაღებულ მუშაობაში. ჩვენი ძველი მუშები, საძირკველნი სოციალდემოკრატიულ პარტიისა, იცნობენ ამ საშინელ დროს, იციან თუ როგორი ტანჯვით სავსე იყო ის დრო, როცა ორგანიზაციებს თითო-ოროლა გულწრფელი, სულით და გულით მიძღვნილი მუშაკები შერჩა და ამ ხალხით სულდგმულობდა ჩვენი გაზეთი, რომელიც ერთად-ერთ საბრძოლველ იარაღათ შეგვრჩა ხელში. დ ყველა იმ ახალგაზრდა მუშებში, რომელნიც სულს უდგამდენ ჩვენს გაზეთს, რომელნიც დღე და ღამ სანთელივით ადნებოდენ ყოველ მის სტრიქონს და ფურცელს ყველაზე ცოცხალი, ყველაზე გატაცებული და დაუზარებელი მუშაკი იყო განსვენებული აკაკი.

მახსოვს და არასოდეს არ დამავიწყდება 1914 წლის ომის გამოცხადების წინ დრო, როცა ჭიათურა-ბაქოს გაფიცვების შემდეგ მუშათა მოძრაობამ ჩვენშიდაც აიდგა ფეხი და პარტიულ ორგანიზაციებიდან ითხოვდა უშიშარ და გულწრფელ მუშაკებს, აკაკიც ერთი ამ მცირერიცხოვან ამხანაგთა შორის იყო და განსვენებულ მელიტონ ბერიშვილთან და ქუთაისში მაშინ მყოფ სხვა ამხანაგებთან ერთად ეწეოდა იმ მძიმე შრომას, რომლითაც სულდგმულობდა რეაქციით ალყა შემორტყმული ჩვენი ორგანიზაციები. ახლაც თვალწინ მიდგას ერთი მიყრუებული სარდაფი ქუთაისის გუბერნიის ერთ-ერთ დაბისა, სადაც მაშინ საოლქო კომიტეტის არალეგალური სტამბა გვქონდა და, როცა საჭირო იყო ამ მანქანის ამუშავება—აკაკი პირველი გამოჩნდებოდა აქ და რამოდენიმე დღის შემდეგ კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში უკვე გავრცელებული იყო ჩვენი მოწოდებები.

ამისთვისაც იყო, რომ მას სასტიკათ სდევნიდენ ქუთაისის ჟანდარმები და როცა ომი გამოცხადდა, ის ხელში ჩაუვარდა მათ, ხოლო ორი თვით ქუთაისის ციხეში ჯდომის შემდეგ ასტრახანში გადაასახლეს.

ისედაც სუსტი და ავადმყოფი ამხანაგი მოექცა საშინელ პირობებში, იძულებული შეიქნა გაეყიდა თავისი უკანასკნელი ტანთსაცმელიც და თფილისელ ამხანაგებს ემუდარებოდა დახმარებოდენ ცოტაოდენ გროშებით, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო. მარა გაუძლო ამ უბედურებასაც და ასტრახანში იხილა პირველი დღეები მ სთვის სანატრელ დიდი რევოლუციისა, ხოლო რამდენიმე კვირის შემდეგ მოაშურა სამშობლოს, სადაც კვლავინდებურათ ჩაება მის საყვარელ პარტიულ მუშაობაში. ჩამოსვლიდანვე საოლქო კომიტეტის ხაზინადრათ მოიწვიეს, სადაც უკანასკნელ დღეებამდე ჩვეულებრივი ერთგულებით და გატაცებით ემსახურებოდა პარტიას.

აკაკი არ იყო ერთ წერტილზე გაყინული მუშა, არამედ მის მმოძრავ არსებას ახასიათებდა მუდმივი წინსვლა, მეტი ცოდნის და შეგნების შეძენა და სკოლის კარებს სრულიად დაშორებულმა შესძლო თვითგანვითარებით ჩამდგარიყო ამხანაგების მოწინავე რიგში. მუშათა მოძრაობის დაკვირვება, მისი შესწავლა და სისწორით დახასიათება, აი რა გამოსჭვიოდა ყოველ მის წერილში, რომელიც თითქმის სისტემატიურად იბეჭდებოდა ჩვენ პარტიულ ორგანოებში: „ერთობაში" და „ბორბაში".

აკაკის სახით ჩვენმა პარტიამ დაკარგა შეგნებული მუშა, რომელიც მის წიაღში აღიზარდა და მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ამ ოჯახისვე გაძლიერებას და მისი ღირსების ამაღლებას, ხოლო ჩვენმა გაზეთმა—დაუღალავი, ნიჭიერი და დაკვირვებული თანამშრომელი.

მომავლის იდეალებით გატაცებული ახალგაზდა, მისთვის პატარაობიდანვე წამებული მებრძოლი, დასჭკნა როგორც გაზაფხულზე მოწყვეტილი ყვავილი და მაშინ, როცა მას შეეძლო კიდევ უფრო მეტად, უფრო [illegible] ძლებია ერთხელ [illegible] ბოში ჩაესვენა და [illegible] დროს, როცა ამხანაგებთან ერთად სრულიად გამარჯვებული გამოვიდოდა ამ დიდი ბრძოლიდან.

მშვიდობით, ჩვენო აკაკი! შენი სამარე ჩვენი გულია. შენთან აღზრდილებს და ბრძოლის ცეცხლში გამოწრთობილებს მუდამ მოგონებათ დაგვრჩება შენი გატაცებული, მომხიბლავი იმედების აღმძვრელი და უშიშარი შუშაობა. ლ.

## რუსეთის ცხოვრება

**ჰელსინგფორსი.** შეთანხმების სახელმწიფოთ მურმანზე ყავთ ლაშქარი შემდგარი 3,000 ინგლ., 8,000 ფრანგებ., 5,000 სერბ. და 300 ლტოლვილებისაგან, სულ 16,300 კაცი.

**კიევი.** მოსკოვიდან იტყობინებიან: ჩიტაში აჯანყდა წითელ არმიელთა გარნიზონი და უარი განაცხადა სლოვაკების წინააღმდეგ წასვლაზე, ბოლშევიკები სტოვებენ ქალაქს.

**ხარკოვი.** მიღებულია ცნობა, რომ ბალტიის ფლოტის ყველა გემები, მდგომნი კრონშტადტში, ჰელსინგფორსში და სვეაბორგში პეტროგრადის ახლოს დგანან და მას სროლით ემუქრებიან.

**60 დახვრეტილი ინგლისელები.** მოსკოვში დაუხვრეტიათ 60 ინგლისელი, მათ შორის ოთხი ოფიცერია.

**კიევი.** მოსკოვიდან იტყობინებიან: ვოლოგდის გუბერნიაში, გალიჩის და ჩერეპოვცის რაიონში აღმოუჩენიათ შეთქმულთა ორგანიზაცია, რომელიც უმთავრესათ ყოფილ აფიცრებიდან შესდგებოდა.

**ხარკოვი.** მოსკოვიდან იტყობინებიან: კრემლში, სასახლის ოთახების ქვეშ სადაც ლენინი, ლარინი და რასკოლნიკოვი ცხოვრობენ, აღმოუჩენიათ დიდი გძელი ხვრელი, სადაც ასაფეთქებელი მასალები უპოვიათ.

— მოსკოვიდან მოსული ცნობით ბოლშევიკებს 2000 გამოჩენილი მემარჯვენე სოციალისტები და ბურჟუაზიის წინამძღოლები ყავთ დატყვევებული და მოთავსებული „საპატიო ციხეში".

## მუშათა შორის

**თფ. მეეზოვეთა მოთხოვნილება.**

ქალაქ თფილისის მეეზოვეებმა წარუდგინეს სახლის პატრონთა კავშირს მთელი რიგი მოთხოვნილებისა და აღნიშნეს, რომ თუ ამ მოთხოვნილებებს კავშირი არ დააკმაყოფილებდა, ისინი გაიფიცებოდენ. პასუხის უკანასკნელ ვადათ მეეზოვეებმა დაუნიშნეს შაბათი, 4 ოქტომბერი. მოთხოვნილება შემდეგია: 1) სამუშაო ნორმათ შეთანხმებით დაწესებულ უნდა იქნას არა უმეტეს 8 საათისა; 2) სიტყვა „მეეზოვე" უნდა შეიცვალოს „სახლის დარაჯათ"; 3) მინიმალური ქირა— 400 მანეთი თვეში; 4) ერთი წლის სამსახურის შემდეგ ერთი თვის „ოტპუსკი", ჯამაგირის შენახვით; 5) კარგი, სანთლიანი ოთახი ან ამის მაგივრად 30 მანეთი თვეში; 6) მიღება და დათხოვნა უნდა ხდებოდეს პროფესიონალური კავშირის მიერ; 7) უმიზეზოთ დათხოვნისათვის სახლის პატრონი ვალდებულია გადაუხადოს, ვინც 6 დღიდან 3 თვემდე იმსახურა, 1 თვის ჯამაგირი, 3 თვიდან 3 წლამდე—3 თვის ჯამაგირი და ასე; ამასთანავე სადილის 200 მანეთი და ოთახის 30 მანეთი თვეში; 8) სახლის დარაჯი განთავისუფლებულია ყველა მინდობილობისაგან, რომელიც არ შედის მის ვალდებულებაში; 9) ავადმყოფობის დროს, სახლის პატრონი ვალდებულია თავის ხარჯით უწამლოს სახლის დარაჯს და აძლიოს მას ჯამაგირი 6 თვის განმავლობაში; სიკვდილის დროს კი, სახლის პატრონი ვალდებულია დააკმაყოფილოს სახლის დარაჯის ოჯახი მე 7 მუხლში ნაჩვენები ნორმით; 10) სახლის პატრონი ვალდებულია აძლიოს ყველა ქუჩისათვის საჭირო მასალები (ცოცხი, წინსაფარები, ნავთი, წუმწუმა და სხ.); 11) დათხოვნის დროს სახლის პატრონი ვალდებულია 15 დღით ადრე შეატყობინოს როგორც სახლის დარაჯს, ისე კავშირს; 12) მოქცევა ზრდილობიანი; 13) ჯამაგირი უნდა მიეცეთ ყოველ თვე; 14) კვირა უქმე დღეებისათვის—ორი წილი გადასახადი; 15) გაფიცვების ჯამაგირი მთლიანათ უნდა მიეცეთ მათ.

თფილისის გუბერნიის შრომის კომისარიატში მოწვეულ იქნენ, როგორც მეეზოვეთა, ისე სახლის პატრონთა კავშირის წარმომადგენელნიც დასახელებულ კონფლიქტის მოსაწესრიგებლათ. თათბირმა დაადგინა, რომ ზოგიერთ კითხვების გამოსარკვევათ და კონფლიქტის მოსაწესრიგებლათ აუცილებელია სპეციალურ კომისიის შექმნა, რომელშიაც უნდა შევიდეს ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელიც. მეეზოვეთა საერთო კრებაზე, რომელიც მოხდა 4 ოქტომბერს მუშათა კლუბზე, მათ მი-

[illegible]

...რო მასალის შესახებ, ან და სხვა საკითხების შესახებ, იმ საკითხების, რომელიც საქონლის გაცვლა გამოცვლის წესრიგში შედის. რაც შეეხება პურს, მე სავსებით ვეთანხმები ბიჩის აზრს, ვინაიდან ჩვენი პური უნდა მიდიოდეს საქართველოში და არა სტამბოლში. საზღვრების შესახებ საკითხს მე ვსთვლი გამოურკვევლად, საქართველოს წარმომადგენლის სიტყვებიდან მე გავიგე, რომ სოჭი მათ დაკავებული აქვთ დროებით და დააბრუნებენ მხოლოდ საქართველოს დანარჩენ ორგანიზმთან, თუ კი დააბრუნეს. მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი გაშუქებულ უნდა იქნას ყოველ მხრივ და ბოლომდის ითქვას ყველაფერი.

**დენიკინი.** მე მგონია, უპირველესად ყოვლისა უნდა გადავწყვიტოთ საერთო პოლიტიკური ხასიათის კითხვები. ყველა თქმულისაგან მე ის შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ ჩვენ ვსწყვეტთ შემდეგ საკითხებს: პირველი, საქართველოსთან დამოკიდებულება; მოხალისეთა რაზმმაც და ყუბანის მთავრობამაც აღნიშნეს, რომ ისინი სცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას; მეორე, მოხალისეთა ჯართან დამოკიდებულება; რამდენათაც მე გავიგე საქართველოს წარმომადგენლის სიტყვებიდან საქარ. დამოკიდებულება მოხალისეთა ჯარისადმი მეგობრულია.

3. გეგეჭკორის განცხადება გერმანელებთან ურთიერთობის შესახებ, სავსებით მაკმაყოფილებს. მხოლოდ ერთი კითხვა რჩება გამოურკვეველი საქართველოს წარმომადგენელის სიტყვებისაგან—ის, რომ ბოლშევიკებიც ბრალს სდებენ მათ მოხალისეთა ჯართან კავშირის დაჭერაში და ამიტომ ვითხოვ კიდებულების შესახებ შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენში ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლა შეუწყნარებლათ სწარმოებს. ჩვენ მთელი ჩვენი ღონისძიებით ვფიქრობთ ბოლშევიზმს, როგორც ანტი სახელმწიფოებრივ მოძრაობას, რომელიც ემუქრება სახელმწიფოს მთლიანობას და მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ეს დავამტკიცეთ მთელი რიგი საბუთებით, რომელნიც თვითონ აშკარად ლაპარაკობენ თავიანთ თავზე.

გარანტია იმის შესახებ, რომ პური გერმანელებს არ გადაეცეთ, აქაც მე ვფიქრობ, რომ ეს ადვილად მოეწყობა, ვინაიდან აქედან გატანილი პური პირდაპირ მთავრობის ხელში გადავა, რომელიც თავის დღეში არ დაუშვებს იმას, რომ პური სხვის ხელში გადავიდეს მაშინ, როდესაც ადგილობრივი მცხოვრებნი პურს დიდათ საჭიროებენ.

მგონია აგრეთვე, რომ ამ ჟამად საჭიროებას არ წარმოადგენს დავა იმის შესახებ, რომ ჩვენ რაიონში იყოს სოჭის ოლქი. მოხალისეთა რაზმი ხომ დღეს ჩრდილოეთისაკენ უნდა მიისწრაფოდეს და მას იმდენი თავისი საქმე და სამუშაო აქვს, რომ დროებითი ჩვენი ყოფნა ამ რაიონში, ჩვენი ხალხის ინტერესებისათვის დავას არ უნდა წარმოადგენდეს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ შევთანხმდებით შემდეგ ფორმულაზე: სოჭის ოლქი დროებით საქართველოში დარჩეს.

**ალექსეევი.** ეს ფორმულა ძლიერ გაურკვეველი და ჩამოუყალიბებელია.

**გეგეჭკორი.** ეხლა ყველაფერი ჩამოუყალიბებელი და გაურკვეველია.

**ვორონოვი.** მე ეხლა ვილაპარაკებ არა როგორც ყუბანის მთავრობის წარმომადგენელი, არამედ როგორც კერძო პირი. ჩემის აზრით ამ კითხვის გადაჭრაში შეცდომაა დაშვებული, რომელსაც შეუძლია ბოლოს გაუგებრობა გამოიწვიოს. ლაპარაკია სულ სოჭის ოლქის შესახებ და არაფერი თქმულა გაგრის ოლქზე. რას ფიქრობენ ამ ოლქის შესახებ? ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს მას ქართველები უდავოდ თავისად თვლიდენ, მაშინ როცა ეს ასე არ უნდა იყოს. მთელი ეს ოლქი აშენებულია პრინც ოლდენბურგის შრომით და მარტო გაგრისათვის დახარჯულია, ფულის ძველი ღირებულების დროს 10 მილიონ მანეთამდე. ამის გარდა, მთელ ოლქში მხოლოდ ერთი სოფელია და ისიც ნახევრათ, ქართველებისაგან დასახლებული და ყველა იქ დახარჯული კაპიტალი, წმიდა რუსულია. აი ეს გარემოება უნდა ვიქონიოთ სახეში შემდეგ მსჯელობის დროს და თუ საქართველოს საზღვრებზე ვილაპარაკებთ, უნდა აღვადგინოთ საზღვრები ისე, რომ აფხაზეთიც შიგნით მოჰყვეს, ვინაიდან ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ აფხაზეთი მზათ არის ყველაფერზე, ოღონდ რუსეთს კი შეუერთდეს. მართალია, უკანასკნელათ ეჩნევა საქართველოს მთავრობას ქალაქების გაქართულების სურვილი, ნიშნავს იქ თავის კომისრებს და სხვა, მაგრამ ეს სრულიად არ არის საკმარისი, რომ ეს ოლქები საქართველოს კუთვნილებათ ჩავთვალოთ. ამით მე ვათავებ დღეს.

**სტეფანოვი.** საზღვრების შესახებ მე იმას ვიტყვი მხოლოდ, რომ 1905 წლის გამიჯვნით გაგრა შედის შავი ზღვის გუბერნიაში. პატივცემულ ევგ პ. ახნაში, ორი ადგილი ჩემთვის გაუგებარია, ერთი გერმანელების მიერ საქართველოდან პურის გატანის შესაძლებლობის შესახებ. სიტყვა ეხება, რასაკვირველია, არა იმ პურს, რომელიც აქედან გავა, არამედ იმ პურს, რომლის შესყიდვის უფლებას აძლევთ ადგილობრივათ. თუ მისი თავისუფალი ყიდვის ნება მიეცემათ, მაშინ არავის არა აქვს იმის გარანტია, რომ იმის შემდეგ, როცა ჩვენ საქართველოს ბაზარზე პურს გავამრავლებთ, გერმანელებს საშვალება მიეცემათ მისი შესყიდვის.

მეორე: რას ნიშნავს ფრაზა დროებით გვჭირავს. რომელ დრომდე, განა იმ დრომდე, სანამ მოხალისეთა რაზმი რეალურათ უზრუნველყოფს საქართველოს მცხოვრებთა არსებობას, ან დამფუძნებელ კრებამდე? მაგრამ მაშინ ხომ არავითარი აზრი არა აქვს ეხლანდელ თათბირსო.

**დენიკინი.** კითხვის გადაწყვეტა შეიძლება უბრალოთ; თუ საქართველოს ეშინია ბოლშევიკების და საქართველოს რაზმების სოჭის ოლქში ყოფნა ამით აიხსნება, მაშინ ჩვენ, ჩვენი ჯარებით დავიკავებთ მას და თუ ვერ გაუვუმკლავდით, მაშინ ჩვენ შეგვიძლია დახმარება ვთხოვოთ თვით საქართველოს.

**დროგომიროვი.** საქართველოში რუსების შევიწროვების კითხვა აუცილებლად უნდა გადავჭრათ. როგორი მდგომარეობაშია ქვეშევრდომობის საკითხი? ჩანს მთლად კარგათ არ არის, რუსების თავმოყვარეობა შელახული უნდა იყოს, რომ რუსები ასე გამორბიან იქიდან.

**ბიჩი.** მე ამ კითხვას არ გავურბოდი, მაგრამ გამოსავალ გზათ მიმაჩნია საქართველოში ოფიციალური წარმომადგენლის გაგზავნა. 1 საათზე და 20 წ. ალექსეევი სწყვეტს კრებას მეორე დღემდე.

(დასასრული იქნება).

მართა თფილისის გუბერნიის შრომის კომისარმა ელბაქიანმა, აუხსნა მათ საქმის მდგომარეობა და წინადადება მისცა გაფიცვაზე თავი დაენებებიათ და საქმე გადაეცათ მშვიდობიანათ მოსაწესრიგებლათ კომისარიატისათვის.

შრომის კომისრის წინადადება კრებამ მიიღო და ამრიგად გაფიცვა არ მოხდა.

შრომის კომისარმა მიმართა ქალაქის გამგეობას თხოვნით, გამოგზავნოს თავისი წარმომადგენელი დასახელებულ კომისიაში.

## ს.-დემ. პარტიაში

**ს. ქვემო ჭალა** (ქართლი). 25 სექტემბერს მოხდა ს. დ. მ. პ ქვემო ჭალის რაიონის კომიტეტისთვის 21 სექტემბრის კრების მიერ არჩეულ კანდიდატების კრება ამხ. კოლა კაციაშვილის თავმჯდომარეობით და ამხ. ალ. ფრუიძის მდივნობით. კრებას ესწრება სათათბირო ხმის უფლებით რამდენიმე პარტიული ამხანაგებიც. ათი არჩეული კანდიდატთაგან ესწრება შვიდი ამხანაგი. წესრიგი: არჩევა სათანამდებო პირებისა კომიტეტში: თავმჯდომარის ამხანაგით, ხაზინადრის და მდივნის და მიმდინარე საკითხები.

1) რაიონული ს. დ. მ. პ. კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ამხ. შაქრო ოქროპირიძე, ამხანაგათ დიმიტრი ფანჯარაშვილი, ხაზინადრათ ამხ. ნიკა თავშავაძე და კომიტეტის მუდმივ მდივნათ ალექსანდრე ფრუიძე. ყველა ესენი არჩეულ იქმნენ აბდილი ხმის უმეტესობით. ამის შემდეგ კრებამ გაითვალისწინა ოთხი მიმდინარე საკითხი: ეროზის, სამკითხველოს უბინაობა, სასადილოს და კოოპერატივის შესახებ, თვითოეულ ჩამოთვლილ კითხვაზე შესაფერი რეზოლიუციება მიიღო და დაიხურა.

მდივანი ალ. ფრუიძე.

---

**თფილისი.** 3 ოქტომბერს, შესდგა მე 3 რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა. დღის წეს-რიგში დაისვა შემდეგი კითხვები: სარევიზიო კომისიის რევიზია; ლექცია; წიგნის მაღაზიის გახსნა; ნავთლუღის მცირე კოლექტივის განცხადება; პარტიის წევრები, რომელნიც არ იხდიან საწევრო თვიურ გადასახადს; თავმჯდომარეობს ამხ. ევტიხი ლორია. ი. მეგრელიძე აკეთებს მოხსენებას, კოლექტივის ანგარიშების რევიზიის საჭიროებაზე; მან აღნიშნა: თუ კოლექტივში ორ თვეში ანგარიშების რევიზია არ მოხდა ერთჯერ მაინც ანგარიშები მთლად აირევა, რაიც გამოიწვევს კოლექტივის მატერიალურათ დასუსტებას და სისტემატიურ მუშაობის მოშლას. ამის შესახებ კოლექტივმა დაავალა პრეზიდიუმს, რომ ამ ადრე მომავალში მოიწვიოს სარევიზიო კომისიის კრება.

ლექციის შესახებ, კოლექტივმა შემდეგი დადგენილება გამოიტანა: „რადგანაც კოლექტივის ნივთიერი მდგომარეობა ძლიერ ცუდია და რადგანაც ერთმა ლექციის შემოსავალმა ვერ დახურა ყველა ხარჯები, კრებამ გადასწყვიტა, რომ კალაპოტში ჩავაყენოთ კოლექტივის ნივთიერი მდგომარეობა და რომ სწარმოებდეს სისტემატიური მუშაობა, კვლავ მოვიწვიოთ ლექტორი ლექციის წასაკითხავათ სახაზინო თეატრში. ამის ტეხნიკურად მომწყობი აირჩია კრებამ კომისია, რომელშიაც შედიან შემდეგი პირნი: გ. მესხიშვილი, ა. თუმანიანი, ა. ვაშაკიძე.

კოლექტივმა მიიღო კოლექტივის კრებები ინიშნებოდეს ხუთშაბათობით საღამოს 6 საათზე.

კოლექტივმა დაავალა ი. მეგრელიძეს შუამდგომლობა აღძრას ქალაქის თავთან, რომ წიგნის მაღაზიისთვის დაგვითმოს „ტრამვაის ბუტკა“. მასთან დაევალა პრეზიდიუმს ჩაიბაროს გარდიშხანიდან წიგნებიანი შკაფი თანდასწრებით ა. მარქარიანის და თუმანიანისა. 19 სექტემბრის კრებაზე, მესამე რაიონულმა კოლექტივმა, თანახმათ მცირე კოლექტივის დადგენილებისა პარტიიდან გამორიცხა წულესკირი, რომელსაც დღიდან გამოცხადებისა გაუქმებულათ უნდა ჩაეთვალოს მანდატი და წინადადება მისცა გორესაშვილს და პაიჭაძეს, რომ შემდეგში არ განმეორდეს ისეთები, რაც ჩაუდენიათ, წინაღმდეგ შემთხვევაში, გამორიცხული იქნებიან პარტიიდან. პარტიის წევრების შესახებ, რომელნიც არ იხდიან საწევრო თვიურ გადასახადს მოხსენება გააკეთა ი. მეგრელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სულ ამ წელში გამოცვლილი აქვს მანდატი 1448 კაცს, რომელშიაც ბევრია ისეთები, რომ არ აქვთ გადახდილი 5—6 თვისა. მასთან სულ ორი ათასზე მეტი წევრი იყო, რომელთაც ჯერაც არ გამოსცვლიათ მანდატი გასული წლისა; საჭიროა ამას კოლექტივმა მიაქციოს ყურადღება და ჩააყენოს ეს თავის კალაპოტში“. ამის შესახებ კრებამ, აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია „დაევალოს თვითეულ კოლექტივის წევრს თავის უბანში მოაწყოს თვიური საწევრო გადასახადის აკრება. მასთან გაზეთის საშუალებით მიმართვა პარტ. წევრებს თვიური საწ. გადასახადის გადახდისათვის და ახლო მომავალში მოწვევა მესამე რაიონის წევრების საერთო კრებისა“.

ი. მეგრელიძე.

## პროვინცია

**ქ. ხურამი.** ენკენისთვის ბოლო რიცხვებში წავიდა მე 10 ე პოლკი. წასვლის დროს, რომ რკინის გზა არ შეიწუხებინათ ბევრი საქონლის ზიდვით, რაც შესაძლებელი იყო ადგილობრივ მკვიდრთ მიყიდეს ხელსაყრელ ფასებში. ეს ქალაქის თავს არ მოეწონა და ზოგიერთი მათგანი პოლკიდან წამოღებული საქონლითურთ დაატუსაღა. აფიცრებმა ეს არ მოიწონეს, ქალაქის თავს მოსთხოვეს, რომ დატუსაღებულნი მათთვის გადაეცა, რადგან ჯარისკაცები მათ აბარიათ, და როცა სურვილი შეუსრულდათ, ზოგი გაანთავისუფლეს იმ დღესვე, ზოგსაც ალბათ გზაში გაათავისუფლებდნენ.

ამ ბოლო დროს ჩვენში ძლიერ გავრცელდა ყაჩაღობა. ყაჩაღები უდანაშაულოთ რჩებიან. ერთ შემთხვევაში გლეხმა გააცხადა, რომ აფიცრებმა გაცარცვეს, ვითომ იცნო კიდევაც ერთი იმათგანი. ეს უკანასკნელი დაატუსაღეს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ გაათავისუფლეს. ბოროტი ენები ამბობენ, რომ ამ საქმეში ერთი გავლენიანი მთელ რაიონში ცნობილი პირი გაერია, გლეხს ფული დაუბრუნა და გლეხმაც უარი სთქვა თავის პირველ ჩვენებაზეო.

სანიტარი.

---

**ს. ნოსირი** (სამეგრელო). 29 სექტემბერს ამა სოფლის მცხოვრ. ექვთიმე სიმონიას დაეცნენ შეიარაღებული მძარცველები, წაიღეს 1000 მან. ფული და 15,000 მან. სხვადასხვა ნივთები.

---

**ს. ქვედა ნოლა** (გამოჩინებულის საზოგადოება, საჯავახოს მხარე). 20 სექტემბერს შესდგა ამ სოფლის მცხოვრებთა საერთო კრება, რასაც დაესწრნენ მთელი სოფლის მცხოვრებნი ქალი და კაცნი დაახლოვებით ოთხას სულამდე კრება გაიხსნა ნაშუადღევის ხუთ საათზე. თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს გიორგი ყაფლანის ძე ბოლქვაძე და შეუდგნენ დღის წეს-რიგის განხილვას. სხვა მრავალ კითხვათა შორის როგორიცაა წყალდიდობისაგან დანგრეული გზების შეკეთება და დაზარალებულთა ზარალის გამორკვევა და მრავალი სხვა, პირველ რიგში დაისვა მოხსენება ეროვნულ საბჭოს წევრის ამხანაგ ფილიპე გ. ლორიასი, რომელიც თფილისიდან იყო სტუმრათ ჩამოსული. ვრცელი მოხსენება შეეხებოდა საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას და მიწის საკითხს. მოხსენებას განმარტებით ხალხი კმაყოფილი დარჩა და მიწის გამოსყიდვის შესახებ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: „იწონებს რა მთავრობის განზრახვას მიწების შეღავათიან ფასით გამოსყიდვით საკუთრებათ გადაცემას ხალხზე, იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა ეცდება საჩქაროთ გაატაროს ცხოვრებაში მიწის რეფორმები, რომ ამით საშვალება მოუსპოს ხალხის მტრებს, რომლებიც ათასგვარ პროვოკაციას ეწევიან მთავრობის წინააღმდეგ და ხალხშიაც არევ-დარევა შეაქვთ. ამასთანავე უნდა შევნიშნო, რომ თუ წინეთ ბალშევიკების სახელით პირდებოდენ ბნელი ძალები ხალხს გაბედნიერებას ახლა ინგლისელების გამოლაშქრებაზე ამყარებენ იმედებს და იმათი სახელით შეაქვთ არევ-დარევა ხალხში, ინგლისელები“ მოვლენ საქართველოს თავადაზნაურულ მთავრობას ჩამოაგდებენ, გერმანელებს გარეკენ, რომლებმაც ჩვენი ქვეყნიდან თუ რამე მოგვეძევებოდა მთლად გაზიდეს და მრავალ ამისთახებს. საჭიროა ამ რაიონში ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ პროვოკატორთა ბნელ საქმიანობას და ენერგიულათ შეებრძოლონ ასეთ მოვლენას. აგრეთვე საჭიროა უარყოფა იმ ყალბი ცნობებისა, რომელთა შემწეობით ასე აღელვებენ ხალხს.

საყორნიელი.

---

**სუჯუნა** (სამეგრელო). სუჯუნის საზ. ოთხ კუთხეთ იყოფა: ზანათი, საგვაზავოსაბოკუჩავო, ეწერი და წალიკარის შუა რჩება თვით დ. სუჯუნა. ყველაზე დიდი და შეძლებული მათში ზანათია—აქ კარგი მოსავალი აქვს სიმინდს, მცხოვრების უმრავლესობა შეძლებულ გლეხობას შეადგენს, ყოველივე კულტურულ დაწესებულებას დიდის მუყაითობით ეკიდებიან—აქაური კოოპერატივი (მომხმარებელი და წისქვილი) სამაგალითოა ახლო მახლო ყველასთვ ს. სოფლის მოწინავე მუშები საკმაოა. ერთის სიტყვით ყოველი დაწყებული კეთილი საქმე გამოძახილს პოულობს. ზანათს ბევრად არ ჩამოირჩება ეწერი. რევოლიუციის პირველ დღიდან აქ მოწინავე ამხანაგების დახმარებით საზოგადოება აღორძინების გზას დაადგა. ხშირია კრებები: მასიური და პარტიული, რომელსაც ხალხი ეტანება და გულცივობას არ იჩენს ამაებში. სიმინდი ერთად ერთი წყაროა შემოსავლის, მიწა ნოყიერია და საკმაო მოსავალი იცის, ზანათში და ეწერშიაც სიმინდის წარმოება გაჩაღებული. გლეხობა აქ უმთავრესად სიმინდს ყიდის და აქედან იძენს დანარჩენ საჭირო საქონელს. ეწერის ახლოს დასავლეთით ს. წალიკარი მდებარეობს, სადაც, სადაც ორმოცამდე კომლი მოსახლეობს. წალიკარი მდინარე რიონითაა შეწუხებული, რომელიც ხშირად გადმოდის ნაპირებიდან და წალიკარს გზას უსპობს სხვა სოფლებთან. ბევრჯერ გადასახლებაც მოუნდომნიათ იქ მოსახლეებს. ეს სოფელი ძლიერ სუფთაა, საზოგადო საქმეებში, ყველაფერში დაინტერესებულია, ხოლო შორს, მივარდნილ კუთხეშია და ეს უშლის ხელს. პარტიული ამხანაგობა სუსტად მუშაობს ხალხის განვითარების საქმეში, რომელიც თავის დალს ასვამს ს. წალიკარს ყოველ დაწყებულ საქმეში. კრებები იშვიათია, მაგრამ თუ კი იქნა მოწვეული ხალხი თანაგრძნობით ეკიდება საქმეებს და ბლომად ესწრება. ამის შემდეგ დაბა სუჯუნაა საინტერესო. აქ ებრაელები მოსახლეობენ უმთავრესად. სანიტარულ მხრივ ძლიერ ცუდათაა საქმე. აქ ყოველივე სიბინძურეს აქვს ალაგი. პატარა ცუდ—ღარზე (მდინარეა) ყოველივე სიბინძურეს და უსუფთაობას ყრიან, სადაც თეთრეულობასაც რეცხენ. საკვირველია ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევს ადმინისტრაცია. ყოვლად უვარგის ბიბლიოთეკას აქ შეხვდებით. ამ მხრივ სუჯუნას ბევრად წინ უსწრებს ყოველ მხრივ მისი პროვინციები. წინეთ აქ სავაჭრო ცენტრი იყო, ეხლა დ. აბაშაში გადაიტანეს და ყოველ პარასკევს იქ მიდის ყველა კუთხიდან ხალხი, გაცვლა გამოცვლის ნიადაგზე. საგვაზავო—საბოკუჩავო მდებარეობით ყველა ჩამოთვლილ კუთხეებზე უკეთეს პირობებშია არის, მაგრამ საზოგადოება ნაკლებად ასრულებს ყოველივე კეთილ და საზოგადო საქმეებს. აქაური კოოპერატივი პატარა „ბუდკას“ წააგავს, შკოლის შენობა კარგია—სწავლა ნაკლებია; სამკითხველოზე არავის უზრუნია. დიდ შარა გზის გარდა არც ერთი გზები ხეირიანად არაა გაკეთებული და გასუფთავებული. პარტიულ ამხანაგებზე არაფერი ითქმის. მომზადებული ამხანაგები ცოტანი არიან—ხოლო სურვილი მუშაობისა ბევრსა აქვს. ზანათს, საგვაზავო-საბოკუჩაოს და ს. წყემს პლატფორმის გაშენება სურდათ „უჩა-ღელესთან“, მაგრამ კუთხური განხეთქილება აფერხებს. სუჯუნა სხვა საზოგადოებებთან შედარებით მოწინავე საზოგადოებას შეადგენს. ხოლო მეტი ენერგიული და სერიოზული დადებით მუშაობას ითხოვს მოწინავე ამხანაგების მხრივ, ხალხი კი მათ დაუჭერს მხარს.

გ. ქ.

---

**სოფ. ზომლეთი** (გურია). ზოგიერთ ბნელი ძალების მეოხებით აქ ბევრი არა სასურველი საქმეები ხდება, ამას წინათ ვიღაცამ დასწვა ადგილობრივი წისქვილი, ქურიძის და ბერიძის საზიარო; რომელიც დიდ საჭიროებას შეადგენდა მთელი ახლო მახლო მცხოვრებლებისათვის; როგორც ემჩნევა, ამ მოქმედებას კერძო ინტერესები უდევს სარჩულათ, და დიდი სიფხიზლე და მიუდგომელი მუშაობაა საჭირო, რომ ნამდვილი დამნაშავის კვალს მიაგნონ: ასეთი მაგალითები რამდენიმეჯერ მოხდა ამ სოფელში, მაგრამ ნამდვილი დამნაშავე იშვიათად აღმოჩენილა და უდანაშაულო ადამიანს კი ხშირად ჩირქი მოცხებია. საჭიროა მეტი ენერგია და მიუდგომელი მუშაობა, რომ ასეთებს კვლავ აღარ ქონდეს ადგილი: ამ სოფლის სკოლას ესაჭიროება მეტი ყურადღების მიქცევა როგორც სასურველი მასწავლებლების გამონახვაში, ისე ყოველი მხრით; აგრეთვე საჭიროა ყურადღება მიექცეს სამკითხველოს მოწესრიგების საქმეს, რისთვისაც გამგეობასთან ერთად კიდევ არჩეულია საგანგებო კომისია ამ სოფლის მოწინავე პირებისაგან, იმედია ყველა არჩეულები გაამართლებენ ხალხის იმედებს.

თ—კა.

## წერილები რედ. მიმართ

### პასუხად № 1.

გაზეთ „სოციალ დემოკრატის“ მე-№ 416 ში მოთავსებულია წერილი ვინმე № 1-ს ამ სათაურით „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საყურადღებოთ, სადაც ავტორი ეხება ჩემს პიროვნებას № 1 აღნიშნავს, რომ მე ნადირაძე, ვეკუთვნი იმ ადმინისტრატორთა რიცხვს, რომელთაც თავის წარსულით მხოლოდ უნდობლობა შეუძლიათ ხალხში გაავრცელოს. № 1-ს გამბედაობა ჩემი პიროვნების ჩირქის მოცხებისა საზიზღარ ცილის წამებამდის მიდის ბ. № 1-ლი ამბობს ჩემზე: „უნდა ღვიარო, რომ ის არის ბაქოს ყოფილი საიდუმლო პოლიციის აგენტიო“ ეს ბრალდება უბრალო ბრალდება არაა და თქვენც უნდა მოიმკათ ასეთი ცილის წამების შედეგი, ამიტომ მოვითხოვ ხუთი დღის განმავლობაში აიხადოთ ნიღაბი და გამომყვეთ სამედიატორო სასამართლოში. აუცილებელ პირობად მიმაჩნია, რომ ყოველივე დადგენილება მედიატორული სასამართლოსი გამოქვეყნებული იქნეს ქუთაისის ყველა გაზეთებში. ამ რიგად კიდევ განმეორებით მოვითხოვ თქვენგან ბ. № 1-ო წარსდგეთ თქვენი საბუთებით სინდისის სასამართლოს წინაშე და დაამტკიცოთ ჩემი საიდუმლო პოლიციელობა, რაც თქვენს ვალს შეადგენს როგორც მოქალაქისას, მედიატორებად ვნიშნავ ჩემის მხრივ მცხ. ვაზის საზ. ეფრემ ალექსანდრეს ძე ჩახუნაშვილს და ოველ გიგოს ძე ლორთქიფანიძეს. პასუხს ველი ხუთი დღის განმავლობაში.

გორის მაზ. მცხ. მილიციის უფროსის თანაშემწე **პეტრე ნადირაძე.**

---

### პასუხად ალ. ჯაფარიძეს.

თქვენი ყურადღება ჩემი წერილის იმ ადგილს მიუპყრვია, სადაც ნათქვამია: „მე სრულიადაც არ ვამბობ, რომ სამართლიანია და საფუძვლიანი ყველა ის, რასაც გაიგონებთ ყოველ ნაბიჯზე ალ. ივ. ჯაფარიძის შესახებ“.

თქვენის აზრით „მკითხველს შეუძლია მხოლოდ ერთი დასკვნა გამოიტანოს, სახელდობრ ის, რომ თქვენ (ე. ი. მე) „ყველა ის“ არ გჯერათ, რასაც გაიგონებთ ჩემზე, მაგრამ ნაწილი იმისა, „რასაც გაიგონებთ“ ჩემზე „სამართლიანია და საფუძვლიანი“.

არ მგონია მკითხველმა ისე გაიგოს ჩემი სიტყვები, როგორც თქვენ გინებებიათ. ჩემს წერილში არაფერია მიკიბულ-მოკიბული, არც გაურკვეველია შიგ რამე და თუ ვფიქრობ, რომ ნაწილი იმისა, რაც გავიგონე თქვენს შესახებ, სამართლიანია და საფუძვლიანი, კიდეც ვიტყოდი ამას აშკარად, საჯაროდ გამოვაცხადებდი. მე კი ვსთქვი: „არ ვამბობ, რომ სამართლიანი ა და საფუძვლიანი ყველა ის“... და სხ. და რათ ინებეთ ჩემს წერილში იმის ამოკითხვა, რაც შიგ არ არის. გაურკვევლობა და გაუგებრობა თუ სადმეა, ჩემს წერილში არ არის, სხვაგან მოძებნეთ.

ტყუილად ფიქრობთ, რომ მე თქვენდამი პირადი გულისწყრომა მალაპარაკებს და მსურს ჩირქი მოგცხოთ. პირიქით, ჩირქი, წარუხოცელი ჩირქი მაშინ მოგეცხებოდათ, თქვენ რომ სასურსათო საქმის სამინისტროს რევიზორად დარჩენილიყავით. თქვენთან საპირადო მე არაფერი მაქვს, თქვენ არც მყოლიხართ სახეში, როგორც პიროვნება, მე მხოლოდ საქმის ინტერესი მალაპარაკებდა. და დარწმუნებულიც კი ვიყავ, რომ თქვენ, თვით თქვენ განცხადებით უარს რევიზორობაზე, მაგრამ მოვტყუვდი.

რაიცა შეეხება პეტერბურგის „ისტორიას“, რომელიც დაწვრილებით თურმე არ გახსოვთ, უნდა მოგახსენოთ, რომ არც შეიძლება გახსოვდეთ, რადგან არც ყოფილა რამე „ისტორია“. „ეს კი ვიცი, ამბობთ თქვენ, რომ ჩემი გამოსვლებით თქვენს წინაღმდეგ თქვენი გულისწყრომა დავიმსახურე. ასეთი გამოსვლები ერთი არ ყოფილა. ხშირად გვიხდებოდა ასეთი შეტაკება“.

თქვენ მეხსიერება გღალატობთ და ნება მომეცით მოგაგონოთ, რომ არც გამოსვლები ყოფილა ჩემს წინააღმდეგ თქვენი მხრით, არც გულისწყრომა დაგიმსახურებიათ ჩემი. პირიქით, ჩვენი ურთიერთობა ისეთი იყო პეტერბურგში, რომ როდესაც ერთმა ჟღირსმა პირმა ჭორი შეთხზა (ხომ გახსოვთ?), თითქო თქვენ ზურგს უკან მე მაგინებდით და სახელს მიტეხდით, და როდესაც ამ ამბავმა თქვენს ყურამდე მოაღწია, თქვენ აღშფოთებული წერილი მომწერეთ ბათუმიდან 1914 წლის 27 მაისის თარიღით, სადაც მწერდით, რომ თქვენ მზათა ხართ ბოდიში მოიხადოთ და სხვა სასჯელიც მიიღოთ, თუ ვინმე დაამტკიცებს ჩემს საწინააღმდეგო თქვენს მოქმედებას ან ლაპარაკს. არ ვფიქრობ, რომ ეს წერილი ჩვენი მტრული ურთიერთობის მოწმობად გამოდგეს.

არა, ბატონო ალექსანდრე, საპირადო და სამტრო, მერწმუნეთ, თქვენთან არც მქონია და არცა მაქვს.

პ ქავთარაძე.

P. S. „ალიონის“ რედაქციამ იმიტომ არ გამოაქვეყნა თქვენი დეპეშა, რომ არ მიუღია.

პ. ქ.


## განცხადებანი

ექიმი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

**ექ. დიასამიძემ** განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 საღ. ოლღას ქუჩა, სახ. № 15. ტელ. 18—03.

ექიმი
**ლ. ა. სარაღიძე**
იღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

**რენგტენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.**
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენგტენის კაბინეტის ყოფილი გამგე
**დოქტორ ა. ვ. ლევენშტეინისა.**
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენგტენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენგტენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჰაჭების ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

კბილის საექიმო კაბინეთები
**თეოდორე საყვარელის ძე ცხომელიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

**ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

**გაიხსნა თვალის საავადმყოფო**
(მუდმივი საწოლებით)
**ექიმი დონხინისა**
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

**ექიმი ზ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—71

ექიმი
**ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი**
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
**გ. გ. მეგრაბიანცი**
ჩამოვიდა და [illegible]
შინაგანი—ავადმყოფობა, [illegible] და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი
**ვლადიმერ მიხეილის ძე მახვილაძე**
ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილის 11—12 საათ. და საღ. 6—7 საათ. მისამართი: უდელნი ქ. № 14.

**ექიმი დ. ჯავახიშვილი**
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

სამკურნალო კაბინეთი
**ექიმ ალექსანდრე დავითის ძის**
**კეკელიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

**ექ. ქალი რ. ბ. შიუქლო-საბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26

**ქ. ხ ო ნ ი.**
ექიმი სპირიდონ დიმ. ჯალაღანია.
იღებს ავათმყოფთ დილის 9—12 ს.-მდე მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთ. სახლი.

**მიხეილის კერძო სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობელი ქირ. და ქალურ 11—12 ს. მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ და ნერვ. დღის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობელისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლ. არს. ქართ. წარ. მმარ. წრე.

**სახალხო სახლი.**

ოთხშაბათს, 9 ოქტომბერს, 1918 წელს წარმოდგენილი იქნება

| | |
|---|---|
| 1. **ლ ა ქ ი ა** კომ. 3 მოქ ნაროდინისა თარგ. მ. ხახანაშვილისა. | 2. **დ ა ვ ა** ერისთავისა, წარმოდგენილ იქნება მეოთხე მოქმედება. |

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: არჯევანიძე, გოგოლაშვილი, ნინონი, იანქოშვილი რომანიშვილი-დგებუაძისა; ბბ. გოცირიძე, მეტრეველი, მინდიაშვილი, მამაჯანოვი თავდგირიძე, სალაყაია, ნინიძე, ჰანკვატაძე.

დასაწყისი საღ. 8 საათზე. ადგილების ფასი 3 მ.—60 კ. მდე
შემდეგი წარმოდგენა 15 ოქტომბერს. რეჟისორი კ. შათირიშვილი
(2—2) რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე

**სახელმწიფო თეატრი.** ოპერის სეზონი 1918—19 წ. დირექცია ლევიცკისა

ოთხშაბათს, 9 ოქტომბერს

**რ ი გ ო ლ ე ტ ტ ო**

ოპერა 4 მოქმედებათ, მუსიკა ვერდისა.

მონაწილეობენ: ქ. ქ. ზელინსკისა, მოროზოვისა, დობროვოლსკისა, გედევანოვისა ბ-ნი ზალიპსკი, ორდა ზუბარევი, ისეცკი, ეზროვი, კურბატოვი.

დირიჟორი ხამოსუდი. დასაწყისი სრულ 8 საათზე

კასა ღიაა დილის 10—2 ს. და საღამოს 6 საათ. წარმოდგენის გათავებამდე.

ანონსი: ხუთშაბათს 10 ოქტომბერს—„დუბროვსკი“, პარასკევს 11 ოქტომბერს—„პიკოვაია დამა“.

**ფოთის ქალაქის გამგეობა**

აცხადებს, რომ 20 ოქტომბერს 1918 წ. დილის 12 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია

**ვ ა ჭ რ ო ბ ა,**

რომლითაც იჯარით გაიცემა ქალაქის ტყეში მდ. რიონის ნაპირზე 500 კუბ. საჟენი შეშის დამზადება და ფოთში ჩამოტანა. შეშა იქნება სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა ჯიშის ხისა. ვაჭრობის პირობების განხილვა შეიძლება ყოველდღე გამგეობის კანცელიარიაში. (3—2)